საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №13

ქ.თბილისი 02/03.12.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:
ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
იაგორ კალანდაძე - სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ნაქარია შველიძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ირმა ნოზაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ანა ტარიელაძე - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი მიქაძე - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენლები
- ნიკოლოზ წიკლაური, რექტორი;
- ეკა სირაძე , მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
- ნუგზარ სხირტლაძე, ვიცე - პრეზიდენტი;
- გურამ ლეჟავა , ვიცე - პრეზიდენტი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი დათუიუშვილი , ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;
- ნინო ყიყილაშვილი, მელიის სკოლის დეკანი;
- ლევან ბერძენიშვილი, პროგრამის კურატორი;
- ნინო ჩუბინიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
- ეკა კვაჭანტირაძე, ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი;

- ზურაბ ბრეგვაძე, არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- მოგელი შენგელია;
- მაია მელაძე
- მურთაზ კირკველია;
- თამარ გამსახურდია;
- დავით სიხარულიძე;
- შოთა მურღულია.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელები:

- კახაბერ კორძახია, რექტორი;
- ეთერ აფხაზავა, პროგრამის ხელმძღვანელი;
- მარინა გედევანიშვილი, რექტორის მოადგილე.

შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგებლები:

- თეიმურაზ ქორიძე;
- რეზო გაგუა;
- ნოდარ ჭითინავა;
- ირმა ნოზაძე;
- გურამ ნაჭყებია.

შპს - სუხისშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ვალერი სუხიშვილი , რექტორი;
- მალხაზ ლომთაძე, სრული პროფესორი;
- ავთანდილ ლაფაჩი, ასოცირებული პროფესორი;
- მაია კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი;
- იზო ბუხეიშვილი, სრული პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მარინა გედევანიშვილი;
დავით ბოსტოღანაშვილი;
ნინო ღაღანიძე;
დავით გუბელაძე;
ნატო ალავიძე;
ირინე ფხაკაძე;
მარიამ გერსამია;
თამარ ჩოკორაია;
ზაზა რუხაძე;
მანანა ხაჩიძე;
ნანა შარაბიძე;
ნინო ქიმერიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19^{20} სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის ელექტრომექანიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (ქართულ-გერმანულენოვანი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

18. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზება და მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
28. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
29. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
30. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
31. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
32. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
33. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
34. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
35. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
36. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
37. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

38. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
39. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
40. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
41. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
42. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
43. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
44. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ექსპერტმა ზაზა რუხაძემ დააყენა შუამდგომლობა შეეცვალათ დღის წესრიგი და შპს- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა განხილულიყო სამაგიტრო და სადოქტორო პროგრამების შემდეგ, რადგანაც მისი აზრით, საკითხების განხილვის ასეთი თანმიმდევრობა უფრო ნათლად წარმოაჩენდა ისეთ საკითხებს რაც მნიშვნელოვანი იყო საბჭოსათვის გადაწყვეტილების მისაღებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა ექსპერტის შუამდგომლობას და მოითხოვა რომ საბჭოს საკითხები განეხილა დღის წესრიგში მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ექსპერტის შუამდგომლობა. საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს შუამდგომლობას და დააკმაყოფილეს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია სწავლებისას გამოყენებულ იქნეს ისეთი ძირითადი სახელმძღვანელოები, (საერთაშორისო საზღაო პუბლიკაციები), როგორიცაა: GMDSS manual, ISGOTT, Guidelines of Safe Mooring, Helicopter Operations, Crude Oil Washing, Inert Gas System, IMDG Code და სხვა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:
- მიზანშეწონილია გაიზარდოს კრედიტების ოდენობა საგნებში ინფორმატიკა (სულ 2 კრედიტია) და მასალათმცოდნეობა (სულ 3 კრედიტია). ასევე გემის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (სულ 6 კრედიტია).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. მისი განცხადებით, კრედიტების ოდენობას აუცილებლად გაზრდიდნენ.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის ელექტრომექანიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:
- სასურველია სტუდენტებისთვის ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს ქართულ ენაზე. (მაგალითად, ლექტორთა რიდერების სახით). სილაბუსების უმრავლესობაში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურად მითითებულია რუსულენოვანი წიგნები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. იგეგმებოდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში ნათარგმნი მასალების განთავსება ელექტრონული ფორმით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის ელექტრომექანიკის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გემის ელექტრომექანიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- აკრედიტაციაზე წარმოდგენილია ერთი დარგის ორი საგანმანათლებლო პროგრამა:
ა) მენეჯმენტი - საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა; ბ) მენეჯმენტი - ნავსადგურის მენეჯმენტი. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიქმნას ერთი პროგრამა „მენეჯმენტი“ სავარაუდოდ 60-60 კრედიტიანი ორი მოდულით: საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მენეჯმენტი და ნავსადგურის მენეჯმენტი.
- პროგრამის მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართვის მიზნით, სასურველია მისი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის როგორც ხარისხობრივი ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატებოდეს მოწვეული სპეციალისტების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამ თვალსაზრისით პროგრამის მესვეურებს მართებთ მუშაობის გააქტიურება. თუმცა, ექსპერტები იმ გარემოებასაც აფიქსირებენ, რომ აკადემიაში დასაქმებული მოწვეული სპეციალისტები საზღვაო სატრანსპორტო სფეროს მაღალი დონის სპეციალისტები არიან და გამოირჩევიან დიდი პრაქტიკული გამოცდილებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს აკადემიური საბჭოს სხდომაზე დააყენებდნენ. ამასთან განმარტა, რომ საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა უფრო ფართოა ვიდრე ნავსადგურის მენეჯმენტი, სწორედ ამიტომ შესაძოა უნივერსიტეტმა უფრო მართებულად მიიჩნიაოს ამ პროგრამების ცალ-ცალკე არსებობა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწორედ ხარისხიანი სწავლების უზუნველყოფის მიზნით მოიწვია დაწესებულებამ პრაქტიკოსი სპეციალისტები. თუმცა, სამომავლოდ უნივერსიტეტი გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კადრების თვალსაზრისით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკის საბაკალვრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკის საბაკალვრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს რაოდენობრივი საგნების სწავლებას. კერძოდ, უკეთესი იქნება, თუ ,,უმაღლესი მათემატიკა 1“ და ,,უმაღლესი მათემატიკა 2“-ის შემდეგ ცალკე სასწავლო კურსად გამოიყოფა „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“, რომელიც შემდგომში იქნება ეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის წინაპირობა;
- სასურველია ისწავლებოდეს სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა“, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისათვის ვიდრე კურიკულუმით გათვალისწინებული კურსი „მაკროეკონომიკა“;
- სასურველია კურიკულუმით გათვალსიწინებული კურსი „ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ შეიცვალოს კურსით „ფინანსური მენეჯმენტი“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან განმარტა, რომ სასწავლო კურსი ,,ალბათობის თეორია“ შეტანილია ,,უმაღლეს მათემატიკა 2“-ში და ისწავლება მეორე კურსის პირველ სემესტრში, ხოლო ,,მათემატიკური სტატისტიკა“ შეტანილია სასწავლო კურსს ,,ეკონომიქსში“.
საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურის მენეჯმენტის საბაკალვრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. **შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია, ტელეკომუნიკაციის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალობის მაპროფილებელ საგანთა ციკლს დაემატოს საწარმოო პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდათ თუ არა პრაქტიკა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოულ საგანში ინტეგრირებულია პრაქტიკა, სიმულაციური მოდელები, რაც რეალურად უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ - ჩვევების გამომუშავებას, თუმცა რეკომენდაციას გაითვალისიწინებენ და ცალკე სასწავლო კურსს დაუთმობდნენ საწარმოო პრაქტიკას.
საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია, დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებული შიდა საუნივერსიტეტო სახელოვნებო ტურების შესახებ ან მიეთითოს აღნიშნული ტურების მარეგულირებელი დოკუმენტი (დებულება) და იგი ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რაც გაუადვილებს აბიტურიენტებს ორიენტაციას სასურველი პროგრამის არჩევანის თვალსაზრისით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ცენტრის რეკომენდაციებს.
საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების პირობებში დაფიქსირდეს ინგლისური ენის კონკრეტული დონე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული იყო ორი უცხო ენის სწავლება. მისი განმარტებით, თავდაპირველად დაშვების წინაპირობაში არ იყო მითითებული ინგლისური ენის ფლობის კონკრეტული დონა, რადგან სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის დონე არის B1. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა რომ რეალურად პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, რომლელთა ინგლისური ენის ფლობის დონე არის სხვადსხვა. შესაბამისად, პროგრამაში აღნიშნული ცვლილების შეტანა დაწესებულებამაც მიზანშეწონილად მიიჩნია.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:
- მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების პირობებში დაფიქსირდეს ინგლისური ენის კონკრეტული დონე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული იყო ორი უცხო ენის სწავლება. მისი განმარტებით, თავდაპირველად დაშვების წინაპირობაში არ იყო მითითებული ინგლისური ენის ფლობის კონკრეტული დონა, რადგან სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის დონე არის B1. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა რომ რეალურად პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, რომლელთა ინგლისური ენის ფლობის დონე არის სხვადსხვა. შესაბამისად, პროგრამაში აღნიშნული ცვლილების შეტანა დაწესებულებამაც მიზანშეწონილად მიიჩნია.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა დისციპლინა 5 კრედიტიანია, მიუხედავად მათი შინაარსისა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული შესასწავლი მასალის მოცულობისა. ყველა სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული საკონტაქტო საათებიც იდენტურია. (მაგალითად, „ბიზნეს-კომუნიკაციების შესავალი კურსი“ და „წრფივი ალგებრა“, ან „ბიზნესის ეთიკა“ და „კალკულუსი“) .სასურველია, დისციპლინებს „კალკულუსი“ და „წრფივი ალგებრა“ დაეთმოს მეტი სააუდიტორიო დატვირთვა, ვიდრე დისციპლინებს: „ბიზნესის კომუნიკაციები“, „ბიზნესის ეთიკა“ ან „ბიზნესი მოქმედებაში“;
- სასურველია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა სხვადასხვა კომპანიებში, რაც სტუდენტს მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან შედარების შესაძლებლობას მისცემდა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან აღნიშნა, რომ სტუდენტები უცხოურ კომპანიაში გადიოდნენ პრაქტიკას.
საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა აღნიშნულ პრაქტიკას ვინ აფინანსებდა.რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკას თავად უცხოური კომპანია აფინანსებდა.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტირების საბაკალავრო პროგრამის (ქართულ-გერმანულენოვანი)აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნებში უფრო სრულად იქნას ასახული დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები, პროგრამის მიზნების ფორმულირებაში უფრო ფართოდ და სრულად იყვნენ ჩართული პოტენციური დამსაქმებლები;
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკის გათვალისწინება, რაც კურსდამთავრებულებს აღჭურვავს აუცილებელი უნარ–ჩვევებით;
- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიმართულებით სასურველი იქნება ფართო და დროის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კვლევის დაგეგმვა, კვლევის პროცესში შესაძლებელია უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა;
- შეფასების ყველა კომპონენტში აუცილებელია 51%–ის დაგროვება, ასევე მიუხედავად მიმდინარე შეფასებისა ფინალურ გამოცდაზე გასვლის აუცილებლობა შესაძლებელია შეიცვალოს უფრო მობილური სისტემით, სადაც სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს ფინალურ გამოცდაზე გასვლა თუ მას მიმდინარე შეფასებით უკვე დაგროვილი აქვს 51 ქულა;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები სამი თვით მიდიან ჰაიდენჰაემის უნივერსიტეტში. მისი განმარტებით, წინა პროგრამისაგან განსხვავებით, პროგრამის მიხედვით სავალდებულო არ არის აღნიშნული სწავლების მეოთხე წელს განხორციელდეს.
საბჭოს თავმჯდომარე იკითხა პროგრამა უზრუნველყოფილი იყო გერმანელი თუ გერმანულენოვანი პერსონალით. რაზეც დაწესებულების წარმომადენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო გერმანელი პროფესორი.

საბჭოს წევრმა იკითხა სასწავლო გეგმაში პრაქტიკა გათვალსწინებული იყო თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში პრატიკა გათვალისწინებულია

არჩევითი ფორმით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ერთი გერმანელი პროფესორი რამდენად უზრუნველყოფდა ქართულ - გერმანულენოვან პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ლიტერატურა გერმანულენოვანია. გერმანელი პროფესორი მხოლოდ 3 საგანს ასწავლიდა. წარმომადგენლის განცხადებით, სპეციალობის საგნები შემოთავაზებული იყო გერმანულ ენაზე, რომელსაც ასევე 2 ქართველო პროფესორი კითხულობს, საუნივერსიტეტო საგნები კი ისწავლება ქართულ ენაზე, სხვა აკადემიური პერსონალის მიერ.

იმის დასაზუსტებლად პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფდა თუ არა სწავლის შედეგების მიღწევას, საბჭომ ადგილზე შეისწავლა პროგრამა და დაადგინდა, რომ გერმანელი პროფესორი კითხულობდა მხოლოდ ოთხ სასწავლო კურსს. რაზეც დაწესებულების წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება აპირებდა პროგრამაში კიდევ ერთი გერმანელი პროფესორის ჩართვას.]

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტირების საბაკალავრო პროგრამის (ქართულ-გერმანულენოვანი) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტირების საბაკალავრო პროგრამის (ქართულ-გერმანულენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები.

- სასწავლო პროგრამების ყველა კურსი არის 5 კრედიტიანი, მიუხედავად მათი შინაარსისა. მაგალითად კურსები: „ფინანსური აქტივების შეფასების საფუძვლები“, „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები“ და „ფინანსური პორტფელის მართვა“ თავიანთი შინაარსით წარმოადგენენ სასწავლო კურსის „კორპორაციის ფინანსების“ შემადგენელ ნაწილებს. პროგრამა ითვალისწინებს „კორპორაციის ფინანსების“ სასწავლო კურს, რომელიც ასევე 5 კრედიტიანია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა ამ ნაწილში ზედმეტად დეტალიზებულია და ის საგნის უფრო ღრმა სწავლებაზეა ორიენტირებული. პროგრამაში სასწავლო კურსი „კორპორაციის ფინანსები“ ისწავლება მე-5 სემესტრში, ხოლო „ფინანსური მენეჯმენტი“ მე-6 სემესტრში. ექსპერტთა რეკომენდაციაა ამ კურსების სწავლება განხორციელდეს პირიქით, ვინაიდან კორპორაციის ფინანსები უფრო გაღრმავებული კურსია და თავის თავში გულისხმობს „ფინანსური მენეჯმენტის“ ელემენტების ცოდნას.
- სასურველია სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდეს სამუშაო პრაქტიკას კომპანიებში, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან შედარების შესაძლებლობას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ,,კორპორაციის ფინანსებისა“ და ,, ფინანსური მენეჯმენტის“ თანმიმდევრობის საკითხი სადავოა. თუმცა განაცახა, რომ აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთხელ განიხილავდნენ უნივერსიტეტში. პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ორ ორგანიზაციასთან სადაც სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რატომ არ იყო პროგრამა უზრუნველყოფილი პრაქტიკით. რაზეც დაწესებულების წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ გარკვეულ ეტაპზე ამ თვალსაზრისით

დამსაქმებლების მხრიდან დაინტერესება არ იყო და პრაქტიკას მხოლოდ, პირადი კონტაქტების საფუძველზე უზრუნველყოფდნენ. მისი განმარტებით, სტუდენტები რეალურად მართლაც გადიოდნენ პრაქტიკას სხვადასხვა დაწესებულებაში, თუმცა იგი ოფიციალურად არ იყო ასახული საგანმანათლებლო პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნებში უფრო სრულად იქნას ასახული დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები და პროგრამის მიზნების ფორმულირებაში უფრო ფართოდ იყვნენ ჩართული პოტენციური დამსაქმებლები.
- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის სისტემური კვლევა და ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიმართულებით სასურველი იქნება მიზნობრივი კვლევის დაგეგმვა, კვლევის პროცესში შესაძლებელია უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა.
- შეფასების ყველა კომპონენტში აუცილებელია 51%–ის დაგროვება, ასევე მიუხედავად მიმდინარე შეფასებისა ფინალურ გამოცდაზე გასვლის აუცილებლობა შესაძლებელია შეიცვალოს უფრო მობილური სისტემით, სადაც სტუდენტს მიეცემა შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს ფინალურ გამოცდაზე გასვლა თუ მას მიმდინარე შეფასებით უკვე დაგროვილი აქვს 51 ქულა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.
საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია,შენიშვნა და რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობა ხანგრძლივად მიმდინარეობდა და შესამაბისად, შედეგად მიიღეს ის რომ პროგრამა უხარვეზოა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია ჩოკორაიამ განმარტა რომ პროგრამას ხარვეზი არ დაუფუქსირდა, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი არის სწორედ ის პიროვნება, რომელმაც შეიმუშავა ქართულ ენაში მომზადების დარგობრივი მახასიათებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

15. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში მითითებულია, რომ პროგრამა სრულდება გამოსაშვები საატესტაციო გამოცდით, სადაც ხდება პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის (70 ქულა) და გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების (30 ქულა) გამოვლენა-დემონსტრირება; სასურველია, დაზუსტდეს კონკრეტულად როგორ ხდება კლინიკური უნარ-ჩვევებისთვის განკუთვნილი 30 ქულის დაგროვება.
- საგანმანათლებლო პროგრამა შეიცავს კვლევის კომპონენტებს, როგორც ცალკეული კურსების სახით, ასევე საბაზო საგანათან ინტეგრირების სახით (სამედიცინო ბიოლოგია და კვლევის მეთოდები, სამედიცინო ქიმია და კვლევის მეთოდები, სამედიცინო ბიოქიმიის საფუძვლები და კვლევის მეთოდები) - სასურველია ინტეგრირებულ კურსებში უფრო კონკრეტულად და ნათლად გამოიყოს კვლევითი მეთოდების შესწავლაზე განკუთვნილი საათების რაოდენობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციები მისაღებია. შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეტი ობიექტურობისათვის, შეფასება მოხდებოდა სირთულის გათვალისწინებით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის (ერთსაფეხურიანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში მითითებულია, რომ პროგრამა სრულდება გამოსაშვები საატესტაციო გამოცდით, სადაც ხდება პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის (70 ქულა) და გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების (30 ქულა) გამოვლენა-დემონსტრირება;
- სასურველია, დაზუსტდეს კონკრეტულად როგორ ხდება კლინიკური უნარ-ჩვევებისთვის განკუთვნილი 30 ქულის დაგროვება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციები მისაღებია. შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეტი ობიექტურობისათვის, შეფასება მოხდებოდა სირთულის გათვალსიწინებით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიანი) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ერთსაფეხურიან) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

17. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზება და მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილებას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, შენიშვნები და რეკომენდაციები დაფიქსირებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზება და მართვის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერისტეტის ბიზნესის ორგანიზება და მართვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:
- გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამით კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს საბანკო და საფინანსო სექტორში დასაქმების, სასურველი იქნებოდა სწავლების ბოლო სემესტრში გათვალისწინებული ყოფილიყო პრაქტიკა;
- სასურველია პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები, რათა მეტად იყოს პროგრამაში გათვალისწინებული მათი ინტერესები და შრომის ბაზრის მოთხოვნები. ვფიქრობთ, აღნიშნული გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას;
- ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, სასურველია პროგრამაში ჩართულ იქნას უფრო მეტი პროფესორ-მასწავლებელი. ასეთ შემთხვევაში ერთიდაიგივე ასოცირებული პროფესორი არ წაიკითხავს 28 სავალდებულო სასწავლო კურსიდან 10-ს (ერთ სემესტრში 5 სასწავლო კურსიდან 3-ს);
- სასურველია დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინება ინგლისური ენის გარდა რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს იმისა, რომ რუსულენოვანი სახელმძღვანელოები მითითებულია ბევრ სილაბუსში. დამსაქმებელთა აზრით რუსული ენის ცოდნა გაზრდის მათი დასაქმების პერსპექტივას;
- სასურველია სილაბუსებში წინაპირობები ლოგიკურად და ზუსტად იყოს ჩამოყალიბებული;
- სასურველია სასწავლო კურსი „საგადასახადო საქმე“ ისწავლებოდეს უფრო ადრე, ვიდრე მე-8 სემესტრში, ვინაიდან ამ დისციპლინით გათვალისწინებული საკითხების სწავლება არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსებში: „ეკონომიკის პრინციპები-2“; ფინანსების თეორია-1“; „ფინანსების თეორია-2“; „ბუღალტერიის საფუძვლები“; „ფინანსური აღრიცხვა-1“; „ფინანსური აღრიცხვა-2“; „ბუღალტრული აღრიცხვა ბანკში“;

- სასურველია სასწავლო კურსები: „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები“ გათვალისწინებული იყოს როგორც პროგრამის სავალდებულო დისციპლინები და არა როგორც არჩევითი სასწავლო კურსები;
- სასურველია ორი სასწავლო კურსის „ფინანსური აღრიცხვა–1“ და „ბუღალტერიის საფუძვლები“-ს მიზნები, სწავლის შედეგები და სავალდებულო ლიტერატურა მნიშვნელოვნად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს;
- სასურველია სასწავლო კურსების „ფირმის ეკონომიკა“ და კორპორაციის ფინანსები“ -ს თემატიკა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელის განმარტებით, უნივერსიტეტს შესაძლებლობა ჰქონდა რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გაეთვალისწინებინა, თან იმის გათალისწინებით, რომ პროგრამის განხორციელება არ ჯერ არ დაწყებულა. წინაპირობების ლოგიკურობასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრა ამ რეკომენდაციაზე და მათი მოსაზრებები გაზიარებულ იქნა. მისი განმარტებით, მოთხოვნილი საგნების შეტანა მოხდება სასწავლო კურსებში. პროფესორ-მასწავლებლების დეფიციტთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან პროგრამა ამ ეტაპზე არ იყო მოქმედი, შესაბამისად, მის განხორციელებაში ჩართული იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. თუმცა, მისი განმარტებით, პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში დაწესებულება გეგმავს მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობას და თითოეული სასწავლო კურსისთვის სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის მოწვევას.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ პროგრამაში არჩევითი საგნები გაძლიერდეს ტურიზმის სფეროს სპეციალიზებული დისციპლინებით, რომლებიც სტუდენტს გამოუმუშავებს დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ასეთებია: 1. ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე; 2.კურორტის მენეჯმენტი; 3. ფესტივალების, ღონისძიებების (Event) ორგანიზება. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ არჩევით საგნებში მხოლოდ ერთი ტურისტული საგანი - "გიდის ხელოვნება" არის შეთავაზებული.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ამოქმედებამდე (პროგრამა არ არის დაწყებული) აისახოს საწარმოო პრაქტიკა და გაფორმებულ იქნას ხელშეკრულებები შესაბამის დაწესებულებებთან.
- ინტერვიუებით დამსაქმებლებთან ტურიზმის სფეროში გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, მაგრამ სათანადოდ არ ყოფილან ჩართულნი პროგრამის შედგენის პროცესში. დამსაქმებლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კურსდამთავრებულებმა იცოდნენ არა მხოლოდ ინგლისური ენა, არამედ სხვა უცხო ენებიც, განსაკუთრებით - რუსული.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სავალდებულო საგნების მოცულობა დიდია, შესაბამისად დაწესებულებამ გააძლიერა არჩევითი საგნები. პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რადგანაც იგულისხმება რომ საბაკალვრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს კონტაქტი ექნებოდა პრაქტიკასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა იყო თუ არა პროგრამისადმი დამსაქმებლების მხრიდან ინტერესი. რაზეც წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთ-ერთი ტურიზმის კომპანია, როგორც დამსაქმებელი, აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და შესაბამისად, მისი განმარტებით, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემოდათ პრაქტიკა გაეარათ აღნიშნულ დაწესებულებაში. მაგრამ, რადგან პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, შესაბამისად, უნივერსიტეტს სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე საუბარი ნაადრევად მიიჩნია.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოქტორანტის მიერ შესრულებული კოლოქვიუმების, სასემინარო ნაშრომების, პედაგოგიური პრაქტიკისა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და წესები. სასურველია ისინი აისახოს სადოქტორო პროგრამაში (მითუმეტეს, რომ პროგრამა ამოქმედდება მომავალი სასწავლო წლიდან);
- პროგრამაში არჩევით კომპონენტებზე 10 კრედიტია გათვალისწინებული. მასში მოიაზრება სადოქტორო პროგრამის არჩევითი და კვლევის თემის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები. სადოქტორო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები მითითებულია. სასურველი იქნებოდა კვლევის თემის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების მითითებაც, რათა დოქტორანტობის მსურველს სრული ინფორმაცია ჰქონდეს საკვლევი თემის ირგვლივ, პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტზე და სასწავლო კურსზე, რაშიც კი მას კრედიტის მოპოვება შეუძლია.

ლევან მადათოვმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, კონსტანტინე თოფურიას დამატებით აქვს ორი რეკომენდაცია :
- სასურველია განისაზღვროს სწავლის შედეგები. (პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებში ცოდნა გაცნობიერების ნაწილში ჩამოთვლილი ოთხი კომპონენტიდან ერთი მაინც განსაზღვრავდეს კონკრეტულად რა ცოდნას ეუფლება სტუდენტი);
- სასურველია სწავლის შედეგებში, განისაზღვროს ღირებულებები;
- ინგლისური ენის დონე (upper intermediate)არ არის დამაკმაყოფილბელი დოქტორისთვის;

- პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსების საქმიანი კომუნიკაციები“ (ინგლისურ ენაზე) და ,, აკადემიური წერა“ სირთულის დონე ესადაგება საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილებას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ თავმჯდომარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი შენიშვნები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად არ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების ახალი თაობის აღზრდას, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მათ ინტეგრაციას. პროგრამის გათვალისწინებული კომპონენტები ვერ უზრუნველყოფს ამ მისიით დადგენილი შედეგების მიღწევას, კერძოდ, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტების ინტეგრაციის კომპონენტი არ ჩანს პროგრამაში. პროგრამის მიზნები არის იდენტური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო, კერძო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებისა და არ არის გააზრებული. კერძოდ: ,,სამართლის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია, შიდა და საგარეო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარის-ხის მქონე სპეციალისტის მომზადება“. პროგრამის მიზნები არ არის მიღწევადი, რადგანაც პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტები და ადამიანური რესურსი შესაბამის შედეგს ვერ უზრუნველყოფს;
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდები სრულად არის გადმოტანილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არის გააზრებული სწავლის რა მეთოდებია საჭირო კონკრეტული სადოქტორო პროგრამისათვის. გაუგებარია სწავლის ყველა ეს მეთოდი, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სადოქტორო პროგრამაზე სწავლისას: დისკუსიისა და დებატების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი (collaborative); თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი (cooperative); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზის (Case Study) მეთოდი; გონებრივი იერიშის (Brain Storming) მეთოდი; როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქციის მეთოდი; დედუქციის

მეთოდი; ანალიზის მეთოდი; სინთეზის მეთოდი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; შედარებით სამართლებრივი ნორმატივისტული და დოგმატური მეთოდები; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი; ე.წ. სოკრატეს მეთოდი. პროგრამაში არ ჩანს ის აუცილებელი მეთოდები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამის საფეხურზე სწავლისას (თანამედროვე კვლევის მეთოდები). სადოქტორო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და ეკონომიკის დოქტორის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე";

- სამართლის სადოქტორო პროგრამის მიხედვით პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი, რომელიც ნაწილდება სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე. პროგრამითა და დოქტორანტურის სტანდარტის მიხედვით არ ირკვევა, რეალურად პროგრამის სტრუქტურა როგორ არის გადანაწილებული. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ ნაწილში მითითებულია, რომ 30 კრედიტი ეთმობა სასწავლო და 150 კრედიტი კვლევით კომპონენტს. პროგრამის ძირითად ნაწილში კი სადაც კომპონენტებს შორის კრედიტებია განაწილებული საუბარია რომ სასწავლო კომპონენტი არის 50 კრედიტი ხოლო კვლევითი 130 კრედიტი. დოქტორანტურის სტანდარტის მიხედვით კვლევით კომპონენტში მინიმუმ 90 კრედიტი უნდა დაეთმოს სადისერტაციო ნაშრომს, პროგრამით კი ნაშრომის მომზადება-დაცვას 35 კრედიტი ეთმობა. პროგრამით გათვალისწინებულია 5 კოლოკვიუმის მომზადება (ჯამში 55 კრედიტი). პროგრამით არ ჩანს, რომ კოლოკვიუმი სადისერატაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილია. პროგრამით სავალდებულოდ არ არის გათვალისწინებული აკადემიური წერის სწავლება. (შესაბამისად არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო ნაშრომის, პუბლიკაციის, დისერტაციის, სტატიის მომზადების სწავლება);

- პროგრამში გათვალისწინებულია დარგობრივი სასწავლო კურსების სწავლება. პროგრამაში არსებული ჩანაწერის მიხედვით: კვლევის თემის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი კონკრეტული სასწავლო კურსები შეთავაზებული იქნება კვლევის თემის დამტკიცების შემდეგ ამ უკანასკნელის სპეციფიკის გათვალისინებით;", კონკრეტული კურსების დასახელება, შესაბამისი სილაბუსები და ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე არ არის პროგრამით გათვალისწინებული. შესაბამისად რთულია იმის გაგება, შეძლებს თუ არა დაწესებულება უზრუნველყოს პროგრამა შესაბამისი რესურსით მომავალში;

- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს. კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგებში არის გარკვეული კომპეტენციები აღრეული. მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში მოცემულია ისეთი სწავლის შედეგები რაც უნდა იყოს გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში: ,, სამართლის ამა თუ იმ დარგში უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირება"; ცოდნის გადაცემის და სწავლების განხორციელების ინოვაციური მეთოდების ფლობის დემონსტრირება; მეთოდოლოგიის, რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, იდეებისა და მიღწევების სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირება;" ცოდნა და გაცნობიერებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში გათვალისწინებული ღირებულებების კომპეტენციები: ,,ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების როგორც უზენაესი ღირებულებების და უშუალოდ მოქმედი სამართლის დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების ცოდნის დემონსტრირება, რაც აღნიშნული ღირებულებების დამკვიდრების ახლებური მექანიზმების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა; სამართლის სფეროში არსებული ჰარმონიზაციის და რეგლამენტაციის, სამართლებრივი

კულტურის ამაღლების, სხვა პრობლემების ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება და ა.შ);

- პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებში ასახულია, კურსდამთავრებულს შეეძლება: ,,სამართლის სფეროში არსებული პრობლემების, სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების შემდგომი განვითარების, სამართლის სფეროში განხორციელებული უახლესი ცვლილებებისა და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების და მიდგომების კრიტიკული ანალიზი.“ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ შედეგს. საჭიროა პროგრამაში დაზუსტდეს კონკრეტული ქვედარგი ან სპეციალიზაციაა;

- პროგრამით გათვალისწინებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება ისეთი ცოდნა, რომ შეძლებს შესაბამისი პუბლიკაციის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებას, თუმცა პროგრამით არ ჩანს როგორ მიიღწევა ეს შედეგი;

- სამართლის სადოქტორო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. პროგრამიდან არ ჩანს თუ რა უპირატესობა ექნება კურსდამთავრებულს აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ;

- სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამაში გადმოტანილია სწავლის ის მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში და არ ჩანს მათი ბმა სადოქტორო პროგრამასთან.პროგრამის სასწავლო კურსებში გამოიყენება, მაგალითად, ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, გონებრივი იერიშის მეთოდი მეთოდი და სხვ. აღნიშნული მეთოდები ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

- სამართლის სადოქტორო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო და სავალდებულო კვლევითი კომპონენტებისაგან. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებია: საწავლო კურსები - კვლევის მეთოდები, სწავლების თანამედროვე მეთოდები, ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციური საფუძვლები და გარანტიები (დარგთაშორისი სასწავლო კურსი), თემის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები (დარგობრივი სასწავლო კურსები), პროგრამაში არ არის განსაზღვრული კერძოდ რა დარგობრივი სასწავლო კურსები ისწავლება პროგრამით, (შესაბამისად არ არსებობს ინფორმაცია შეძლებს თუ არა დაწესებულება მის უზრუნველყოფას ადამიანური რესურსით, ან გავა თუ არა კონკრეტული სილაბუსი პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგზე;

- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის თავისი საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეული აქვს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადება.უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დოქტორანტურის სტანდარტი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ელემენტს, დოქტორანტურის პროგრამაში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საგანამანთლებლო პროგრამაში ეს არ ჩანს. მაგალითად საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება;

- პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერდონალის სიმწირის გამო, რთულად მისაღწევია სწავლის ის შედეგები, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული;
- სამართლის სადოქტორო პროგრამაში არ არის გათვალსიწინებული კონკრეტული დარგობრივი სასწავლო კურსების ჩამონათვალი. შესაბამისად რთულია იმის თქმა, რამდენად დაფუძნებულია სასწავლო მასალა მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაშიც და დოქტორანტურის კომპონენტში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნების საკითხი. ამის დასადასტურებლად, წარმომადგენელმა სხდომაზე გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იყო სტუდენტის ვალდებულება სტატიის გამოქვეყენების შესახებ. მისი განმარტებით, სწორედ ამ ფორმით ხდებოდა სტუდენტის ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში. რაზეც კონსტანტინე ჩოკორაიმ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით არც პროგრამაში და არც დოქტორანტურის სტანდარტში არ იყო მითითებული სტატიების გამოქვეყნების ვალდებულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მითითებული იყო როგორც სასწავლო გეგმაში, აგრეთვე პროგრამაში, სადაც არსებობდა მითითება სადისერტაციო დებულებაზე. მისი განმარტებით, პროგრამა შედგება ძირითადი და დამატებითი ნაწილებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ პროგრამაში არ იყო მითითებული, რომ სტუდენტს ევალებოდა რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, როგორც წარმომადგენელმა განმარტა, აღნიშნული დაკონკრეტებული იყო დანართში.
საბჭოს წევრმა თეონა კუპატაძემ იკითხა, რატომ არ იყო აღნიშნული მოთავსებული პროგრამის ძირითად ნაწილში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შესაძლებელი იყო, თუმცა წარმოადგენდა სტილისტურ პრობლემას.
კონსტანიტე ჩოკორაიმ განაცხადა, რომ პროგრამის მიხედვით, საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება წარმოადგენდა სტუდენტის უფლებას (შეთავაზებულია ერთ-ერთი ალტერნატივის სახით) და არა ვალდებულებას . დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ამ პოზიციას და განაცხადა, რომ აღნიშნული არის სავალდებულო - სტუდენტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სამი სტატია (მათ შორის ერთი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში).
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტი სტატიას რეფერირებად ჟურნალში ვერ გამოაქვეყნებდა, თუ სტატია არ აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს. მაღაკვალიფიციურ დონაზე სტატიის დამუშავებას კი სწორედ პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფდა.
კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას არ მოხდა მისი გააზრება კონცეპტუალურ დონეზე, რასაც ადასტურებს შენიშვნაში მოყვანილი მაგალითები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას. ამასთან დასძინა, რომ ტექნიკური შენიშვნები ექსპერტთა დასკვნაშიც არსებობდა.
სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში რომ ყოფილიყო მითითება ,,და სხვა'', ასეთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს არ შეექმნებოდა შთაბეჭდილება რომ სწავლის მეთოდები კოპირებულია სხვა პროგრამიდან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ტექნიკური შეცდომა გაპარულია მხოლოდ ორ ადგილას. მისი განცხადებით, რომ ექსპერტთა დასკვნაშიც არის ტექნიკური შეცდომები და სთხოვა საბჭოს წევრებს რომ აღნიშნული გარემოება მხედველობაში მიეღო.

მეთოდებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა ჩათვალეს, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შენიშვნა - ყველა მეთოდის ინტეგრირებულობა ყველა პროგრამაში არ არის გაქარწყლებული დაწესებულების განმარტებით. წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეთოდები ერთნაირად არის აღწერილი როგორც პროგრამაში, ისე სილაბუსებში. რამდენადაც დოქტურანტურის სასწავლო კურსები სირთულით ხასიათდება, ამიტომ პროგრამაში ყველა მეთოდი არის გამოყენებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურაში გვხდება ისეთი მეთოდები, როგორიცაა იმიტირებული პროცესი, როლური თამაში და სხვა მეთოდები, რომლებიც არ არის ადექვატური მისაღწევი სწავლის შედეგებისთან.
საბჭოს წევრმა თეონა კუპატაძემ განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით პროგრამის მიზნები არ არის მიღწევადი, რამდენადაც ადამიანური რესურსი არ არის შესაბამისი. აღნიშნულის თაობაზე საბჭოს წევრმა განმარტების გაკეთება მოითხოვა დაწესებულების წარმომადგენლისაგან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში ჩართულია 23 აკადემიური პერსონალი. სამომავლოდ იგეგმება პერსონალის დამატება. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს ჰკითხა ადამიანურ რესურის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობაში რაოდენობრივი მაჩვენენებელი იგულისმება თუ ხარისხობრივი. ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ რამდენადაც სადოქოტორო პროგრამა ყველა მიმართულებით ამზადებს სპეციალისტს, სწორედ ამ კუთხით დაინახეს ექსპერტებმა ხარვეზი. კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ პროგრამაში არ ჩანდა კერძო სამართლის მიმართულებით რამდენი აკადემიური პერსონალი იყო ჩართული. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცახდა, რომ პროგრამის დანართში მოცემული იყო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის ვინაობა. მისი განმარტებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა არ იყო მოცემული პროგრამაში, თუმცა არც ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა. რაზეც კონსტანტინე ჩოკორაიამ განაცხადა, რომ აღნიშნულ სიას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და დაასკვნა, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსი ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე გამოაქვეყნა ექსპერტთა დასკვნის 4.2 ნაწილი, სადაც ექსპერტთა ჯგუფს მითითებული ჰქონდა რომ ადამიანური რესურსი კონკურენტუნარიანია. ექსპერტმა ზაზა რუხაძემ განმარტა, რომ ადამიანური რესურის ხარისხთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს უარყოფითი შეფასება არ ჰქონდა. თუმცა პროგრამის შესწავლის შედეგად ჩათვალეს, რომ პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსით ვერ გავიდოდნენ პროგრამის მიზანზე.
აკადემიური წერის სწავლებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დისერტაციის და სამეცნიერო სტატიის წერისათვის აღნიშნული კომპეტენციების შესწავლა აუცილებელი არ იყო ვინაიდან მსგავსი დისციპლინა სტუდენტს ათვისებული ჰქონდა საბაკალავრო ნაშრომის დონეზე.
თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნა, რაოდენობრივი თვალსაზრისით იყო გამოხატული თუ პერსონალის კვალიფიკაციას ეხებოდა. რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ადამიანური რესურის ხარისხთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს უარყოფითი შეფასება არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბატონმა გურამ ნაჭყებიამ დააფიქსირა ექსპერტთა შენიშვნებზე საკუთარი პოზიცია და განაცხადა, რომ მათი ყველა შენიშვნა მისაღები იყო, რადგან იგი ემსახურებოდა დაწესებულების ინტერესებს. მისი განმარტებით, დაწესებულება ახლახანს იწყებდა ამ პროგრამების განხორციელებას და არ ჰქონდათ სრულყოფილების პრეტენზია. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტი მოახდენდნენ პროგრამის გაუმჯობესებას.
ასევე გურამ ნაჭყებიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტები კონსულტაციებს გადიან სხვა უნივერსიტეტის, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. ექსპერტმა ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ ეს გარემოება მხოლოდ ადასტურებს ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ გარემოებას, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დამოუკიდებელად ვერ უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევას
თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი არგუმენტები ექსპერთა დასკვნაში არსებულ ყოველ შენიშვნასთან დაკავშირებით და მხარეს მიმართა, დაეფიქსირა კონკრეტული განმარტებები თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებით.

23:00 სთ-ზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

23:18 სთ-ზე სხდომა განახლდა

საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -5

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება არის უარყოფითი, საბჭო ითვალისწინებს დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებს და საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის პროცედურის დაწყებას.

24. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ თავმჯდომარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი შენიშვნები:
- კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება და გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, თუმცა არ არის ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და არ არის მიღწევადი. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები და შინაარსი არ არის იმ მიზნების ადეკვატური, რაც არის პროგრამით გათვალისწინებული.
- პროგარმის კომპონენტების შინაარსი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. სასაწავლო კურსების უმრავლესობა შინაარსობრივად, ლიტერატურით და სწავლების მეთოდებით იმეორებს მსგავსი დასახელების საბაკავრო კურსებს. მაგალითად: ვალდებულებითი სამართლის პრობლემები, სანივთო სამართლის პრობლემები, სამემკვიდრეო ურთიერთობები (პრობლემები), საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები (პრობლემები) და სხვა. პროგარამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი შედეგის მიღწევას მისი მცირე მოცულობიდან გამომდინარე (10 კრედიტი). პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებში ნაკლებად არის გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების ელემენტები, რაც მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ვერ განავითარებს.
- პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედგების მიღწევას. პროგრამით არ არის გათვალისწინებული ისეთი სპეცკურსები, როგორიცაა საპროცესო უნარჩვევები, იურიდიული ეთიკა. პროგარამა არ ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს, ხოლო სასწავლო კურსების შინაარსი იმეორებს ბაკალავრიატის საგნებს.
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. პროგრამის ერთ-ერთ მთავარ სისუსტედ ითვლება პრაქტიკული კომპონენტის სიმწირე. რაც პრაქტიკოსი იურისტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობას არ იძლევა.

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი და მეთოდები ორიენტირებულია უფრო ბაკალავრის მომზადებაზე, ვიდრე მაგისტრის.
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი არ არის აგებული თანმიმდევრულად. არ იკვეთება, თუ რაზეა კონკრეტულად ორიენტირებული სტუდენტი. პროგრამაში არჩევითი კურსების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია.
- პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის სიმწირის გამო, რთულად მისაღწევია სწავლის ის შედეგები, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული.
- სწავლის შედეგების იდენტურობის დასადასტურებლად მომხსენებელმა სხდომაზე წარმოადგინა პროგრამის სილაბუსები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელი არ დაეთანხმა პირველ შენიშვნას და განაცხადა, რომ პროგრამა ორიენტირებული იყო დასაქმების ბაზარზე. დაწესებულებას ბაზრის კვლევა ჩატარებული ჰქონდა და მისი შედეგები ასახული იყო პროგრამაში (თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს კვლევა არ მოუთხოვია). მისი განმარტებით, რაგდან პროგრამაში გათვალისწინებული იყო პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციები, ბაზრის კველევის შედეგები და საერთაშორისო გამოცდილება, პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების გამოშვებას. კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშვნულ კვლევას, თუმცა პროგრამის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულობა განისაზღვება არა მხოლოდ ფორმალური კვლევის ჩატარებით, არამედ შინაარსობრივად პროგრამა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ურუნველყოს დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა.
სასწავლო კურსების იდენტურობასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კურსის სილებუსები ერთმანეთისაგან განსხვავდება თემატიკით, სწავლის მეთიდებითა და ლიტერატურით. ამასთან, როცა ერთი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის მიღებას, მეორე სასწავლო კურსი ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. მისი განცხადებით, საბაკალავრო დონეზე გავლილი მასალების სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინება სრულიად ლოგიკურია, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხების უფრო ღრმად შესწავლით.
საბჭოს წევრმა იკითხა სამაგისტრო პროგრამაში იურიდიული კლინიკა თუ იყო გათვალსიწინებული. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული თბილისელების ადვოკატთან, საკონსტიტუციო, უზენაეს და სააპელაციო სასამართლოსთან. პრაქტიკული კომპონენტის კრედიტების მოცულობის სიმცირესთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი აზრით, 10 კრედიტი საკმარისი იყო პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის, თუმცა, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი აპირებს მსჯელობას. პროგრამაში ,,საპროცესო უნარ-ჩვევებისა“ და ,,იურიდიული ეთიკის“ სასწავლო კურსების გათვალსიწინება დაწესებულების აზრით, მისაღებია და ამ რეკომედაციას გაითვალსიწინებენ.
წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა ორიენტიებული იყო ბაკალავრის და არა მაგისტრის მომზადებაზე. მისი განმარტებით, პროგრამის

შემუშავება მოხდა ეროვნული საკვალიფიციო ჩარჩოსა და სამართალმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა არ იყო გასაზიარებელი.
ადამიანური რესურების სტანდართნ დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მართალია უცხოელი პროფესორი არ იყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში , თუმცა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი პრაქტიკოს-თეორიტიკოსები იყვნენ და მათ ჰქონდა სათანადო კომპეტენცია. აგრეთვე, უნივერსიტეტში ხშირად ტარდებოდა საერთაშორისო გამოცდილების მქონე ლექტორების საჯარო ლექციები. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე პროგრამის განხორციელებაშ ჩართულია 14 კვალიფიციური კადრი და მათ შორის, 12 აკადემიურ თანამდებობაზეა. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ მოწვეული სპეციალისტებიც. წარმომადგენლის განცხადებით, დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალსიწინებით იურიდიული ინგლისური პროგრმაში იქნა შეტანილი და იგი უზრუნველყოფდა ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, რაც ზრდიდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

აკადემიური პერსონალის სიმწირესთან დაკავშირებით ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის სიმწირე გამოხატული იყო სხვადასხვა პრობლემებში. თუნდაც იმაში, რომ სილაბუსებში ძირითადად ერთი და იგივე საკითხები არის გათვალისწინებული. ამდენად მაგისტრატურის სტუდენტი (რომელსაც წესით გავლილი უნდა ჰქონდეს ვალდებულებითი სამართალი ბაკალავრიატის დონეზე), სამაგისტრო პროგრამის ერთ - ერთ სასწავლო კურსში ხელმეორედ გადის ვალდებულებითი სამართლის ცნებას.

საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -5

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება არის უარყოფითი, საბჭო ითვალისწინებს დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებს და საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის პროცედურის დაწყებას.

25. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ თავმჯდომარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაციები:

- სამართლის, როგორც რეგულირებადი პროფესიის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია სამართალის პროგრამას მიეცეს მეტი შესაძლებლობა გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით.
- სასურველია გაიზარდოს დაწესებულების რესურსი აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით, რაც ასევე შესაძლებლობას გახდის პროგრამის შემდგომ დახვეწას, მათ შორის არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით;
- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების გაძლიერების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა მეტად იყოს ორიენტირებული პრაქტიკულ სწავლებაზე. სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა), ასევე აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკული კომპონენტი გათვალსწინებული ჰქონდა სასწავლო კურსებში, კერძოდ, მისი განმარტებით, სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში სტუდენტები გადიან პრაქტიკას მენტორის ზედამხედველობის ქვეშ.

ბოლო რეკომენდაციისთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ დარგობრივი ინგლისურის სასწავლო კურსი, თუმცა, რეკომენდაციას გაითვალსიწინებენ და სასწავლო კურსს გააძლიერბენ კრედიტების მოცულობის გაზრდის ან ორ სემესტრზე განაწილების გზით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის მეორე დღისათვის - 2011 წლის 3 დეკემბერს - გაგრძელების საკითხი.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს შუამდგომლობას.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 2011 წლის 3 დეკემბერს

26. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკიტხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილებას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ თავმჯდომარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები:
- სამართლის, როგორც რეგულირებადი პროფესიის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია სამართალის პროგრამას მიეცეს მეტი შესაძლებლობა გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით;
- სასურველია გაიზარდოს დაწესებულების რესურსი აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით, რაც ასევე შესაძლებლობას გახდის პროგრამის შემდგომ დახვეწას, მათ შორის არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით;
- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების გაძლიერების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იქნეს ისეთი სპეცკურსების სწავლება, როგორიცაა სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და სამართლებრივი ეთიკა;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა), ასევე აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამაში სავალდებულო საგნები მოიცავს 165 კრედიტს, ამათგან 135 კრედიტი ეთმობა სპეციალობის შემსწავლელ საგნებს. პროგრამის ფარგლებში 75 კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს. სასურველია, 240 კრედიტის ფარგლებში არჩევით საგნებს დაეთმოს მეტი კრედიტი. ამ კუთხით, სასურველია:
- სასწავლო კურსებიდან „შესავალი სოციალურ კვლევის მეთოდებში“ და „მედიის კვლევის მეთოდები“, ეს უკანასკნელი გადავიდეს არჩევით ბლოკში.
- სასწავლო კურსებიდან „მედია და კონფლიქტები“ და „სამხედრო ჟურნალისტიკა“, ეს უკანასკნელი გადავიდეს არჩევით ბლოკში.
- შესაძლებელია განხილულ იქნეს ისეთი საგნების არჩევით ბლოკში გადატანა, როგორიცაა: „ტელე-რადიო რეცენზირება“, „მედია და სამოქალაქო კულტურა“ და სხვ.
- ამასთან, სასურველია არჩევით საგნებში შეთავაზებული სასწავლო კურსის, „მეტყველების კულტურის“, სილაბუსი კიდევ უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) და მეხუთე („კომუნიკაციის უნარი“) კომპონენტში განსაზღვრულ შედეგებზე. ამ კურსის სწავლების პროცესში სასურველია გადახალისდეს სწავლის მეთოდები.
- სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს სასწავლო კურსების „პუბლიცისტიკა“, „ჟურნალისტიკის ისტორია“, ერთი სახელწოდების ქვეშ გაერთიანების შესაძლებლობაზე. ასევე,

სასწავლო კურსის „სტრატეგიული წერა/გაშუქება“ სახელწოდების შეცვლაზე შემდეგნაირად: „მასმედიის ენა“.

- პროგრამაში 5 კრედიტი ეთმობა სასწავლო კურსს „სპორტი“. შესაძლებელია, არსებულ სილაბუსზე დაყრდნობით მომზადდეს დამატებითი, ახალი კურსი „სპორტული ჟურნალისტიკა“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები დაესწრებიან და გააშუქებენ სპორტულ ღონისძიებებს.
- სასწავლო კურსის „დიასპორული ჟურნალისტიკის“ ფარგლებში სასურველია გაფორმდეს მემორანდუმი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ხოლო სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა დაესწრონ და გააშუქონ მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული პრეს-კონფერენციები, სხვა ღონისძიებები.
- სასურველია მეტი ფოკუსირება მოხდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციების გამომუშავებაზე, პროფესიულ პრაქტიკაზე და ეს ყველაფერი პრაქტიკულად აისახოს სწავლების მეთოდებში. სასურველია მომავალი ჟურნალისტებისთვის უნივერსიტეტის ბაზაზე კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროფესიული სწავლებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო კურსის „ბეჭდური მედიის“ ფარგლებში მომზადებული გაზეთის ელ-ვერსიის დაბეჭდვა.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.
- სასურველია უნივერსიტეტის მხრიდან უფრო მეტად წახალისდეს პროგრამის შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობა; გაიზარდოს სტუდენტების მოტივირება, რომ უნივერსიტეტს მიაწოდონ მათი მოსაზრებები პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ; მიზანშეწონილია დაწესებულებაში არსებული ტუტორის ინსტიტუტის გააქტიურება და ამის შესახებ სტუდენტების მეტი ინფორმირება. სასურველია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელსა და სტუდენტებს შორის, მოეწყოს შეხვედრები, სადაც განხილული იქნება სიახლეები, სტუდენტების მხრიდან უკუგების მიღებისა და პროგრამის დახვეწის მიზნით.
- სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობის, სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტის მართვის პროცესში ჩართულობის შესახებ.
- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი ეთანხმება ყველა რეკომენდაციას. თუმცა არჩევითი საგნების გაზრდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამით შემოთავაზებული საგნებიდან არჩევითი სტატუსი ბევრ სასწავლო კურსს ჰქონდა. ექსპერტი მარიამ გერსამიას განმარტებით, პროგრამაში არჩევითი კომპონენტები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, კერძოდ, სამი სასწავლო კურსიდან სულ მცირე ერთ სასწავლო კურსს უნდა ჰქონდეს არჩევითი სტატუსი.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამაზე და შვების წინაპირობებში მითითებულია დამატებით პირობად გამოცდა უცხოურ ენაში (B2) დონეზე. თუმცა, პროგრამის ფარგლებში ერთ–ერთი სავალდებულო კურსი – „კრიტიკული ანალიზის ფორმები“ იკითხება ინგლისურ ენაზე. მიღების წინაპირობებში, შესაბამისად, სასურველია მიეთითოს ინგლისური ენის ცოდნა (B2) დონეზე;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს უცხოენოვანი სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული იყოს მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს კურსის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „სტრატეგიული წერა/გაშუქება“– შეეცვალოს სახელწოდება შემდეგნაირად: „მასმედიის ენა“. იმ შემთხვევაში, თუ ეს სასწავლო კურსი საბაკალავრო კურიკულუმშიც დარჩება, სასურველია, დუბლირების ასაცილებლად, ეს კურსი ამოღებულ იქნეს სამაგისტრო პროგრამიდან.
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში, არჩევითი კურსების გარდა, არსებობდეს თავისუფალი კრედიტის არჩევის შესაძლებლობა;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს მუშაობა კომპეტენციების მატრიცაზე, მისი დახვეწის მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი ეთანხმება რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:
- მიზანშეწონილია განხორციელდეს სასწავლო გეგმის სტრუქტურის კორექცია. კერძოდ, ინფორმატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები, აკადემიური წერა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გადატანილ იქნეს საუნივერსიტეტო კურსებად.
- უცხოენოვანი ფილოლოგიების სწავლება მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ენის პრაქტიკული კურსი, ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. მიგვაჩნია, რომ ლიტერატურათმცოდნეობისათვის სავალდებულო, დარგში კომპეტენციის მიმცემ საგანთა სიაში შეყვანილ იქნეს ისეთი საგნები, როგორიცაა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, ლიტერატურის თეორიის ელემენტებით გაჯერებული ლიტერატურის ისტორიის საეტაპო/მნიშვნელოვანი პერიოდები.
- სასწავლო კურსები ინგლისური ლიტერატურის მოკლე კურსი (ინგლისურ ენაზე) და ბრიტანული და ამერიკული ინგლისური ენობრივი განსხვავებები ემსახურება დარგში დამატებით კომპეტენციების გაღრმავებას. შესაბამისად, სასურველია, რომ მათ მიენიჭოს არჩევითი კურსის სტატუსი.
- არჩევითი სტატუსის მქონე დარგობრივი დისციპლინების სპექტრის გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილია კურიკულუმის სავალდებულო დარგობრივი საკრედიტო მოცულობა არ აღემატებოდეს 100/110 კრედიტს.
- მიზანშეწონილია მოხდეს თეორიული საგნების კვირეული დატვირთვის კორექტირება მოცემული საკრედიტო მოცულობის ფარგლებში შემდეგი სახით – 1(ლ):2(ს) ან 2:2(ს), რაც

სტუდენტებს საშუალებას მისცემს სალექციო კურსებზე შეძენილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ სასემინარო მეცადინეობის ფარგლებში.

- რამდენადაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის გავრცელების არამხოლოდ ბრიტანულ, არამედ ამერიკულ არეალსაც, სასურველია, პირველი უცხოური ენის ფარგლებში სტუდენტს გერმანულ ენასთან ერთად ალტერნატიულად საშუალება ჰქონოეს აირჩია ესპანურ ენა. აღნიშნული გამიზნული იქნებოდა იმ სტუდენტისათვის, რომელიც უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე ძალების მოსინჯვას დააპირებდა გერმანიკულ კვლევებში ან არჩევანს გააკეთებდა ინტერდისციპლინურ კვლევების სასარგებლოდ მაგ., ამერიკისმცოდნეობის განხრით.
- სწავლის შედეგების გაძლიერების მიზნით, სასურველია, ,,ინგლისური ფილოლოგიის შესავალი კურსი" ლიტერატურის საკითხებს უთმობდეს 2 სალექციო საათზე მეტს.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, მკვეთრად იყოს ჩამოყალიბებული ცალკეული დისციპლინის შინაარსი და მისი ადგილი დარგობრივი კომპეტენციების დაგროვების თვალსაზრისით (მაგ., პროგრამა ითვალისწინებს როგორც აკადემიურ წერას, ისე ინგლისურ ენაზე საუნივერსიტეტო-აკადემიური ტექსტის სახეობათა წარმოქმნისა და რეცეფციის ტექნიკებს, ასევე გარკვეულწილად სილაბუსებში: ლინგვისტური კომპარატივისტიკის თეორია (სავალდებულო) და გერმანიკული ენების შედარებითი ანალიზი მეორდება კონკრეტული საკითხები. ასევე გაუგებარია სილაბუსის შინაარსი როგორც ლიტერატურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით დისცილინისათვის – ტექსტის აგების სტრატეგიები, სტრუქტურა და კოლაჟი. შინაარსი გულისხმობს ქართული წინადადების სინტაქსს. თუმცა ამ საგნის სილაბუსის მეორე ვერსიაც სახეზეა, სადაც თუ წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ეს სილაბუსიც ეხება აკადემიურ წერას.)
- მართალია თეორიული კურსები გადის საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე, თუმცა სასურველია ცალკეული პრაქტიკული კურსები გადიოდეს ევროსაბჭოს მიერ სარეკომენდაციო ჩარჩოს ფარგლებში შემოთავაზებული სწავლების შედეგების ინდიკატორებზე.
- სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი – თარგმანის თეორია და პრაქტიკა ძირითადად ორიენტირებული იყოს არა ლიტერატურული თარგმანის კრიტიკაზე, არამედ პრაგმატული ტექსტების (დარგობრივი ტექსტის სახეობები) თარგმანზე.
- მიზანშეწონილია სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს დამატებითი პროგრამის ფარგლებში (60 კრედიტი - minor პროგრამა) განათლების მეცნიერების პროგრამიდან დამატებითი კომპეტენციის დაგროვება, რაც მას საშუალებას მისცემდა დასაქმებულიყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- მიზნაშეწონილია სასწავლო კურსების სილებუსებში მითითებული იყოს არა პროგრამით განსაზღვრულის სწავლის ყველა მეთოდი, არამედ მხოლოდ ის მეთოდები რომლებიც მეტად შესაბამება სასწავლო კურსის შენაარს, მოცულობასა და მიზნებს.
- სასურველია, სასწავლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტის სილაბუსში შეფასების მეთოდური ნაწილი გაიწეროს ინდივიდუალურად;
- სასურველია, სასწავლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სია განივრცოს. სათანადო წიგნადი ფონდის არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ,,რიდერების" სისტემის დანერგვა და მათი განთავსება მიმართულების ბიბლიოთეკაში კონკრეტული სემესტრული აპარატის შემადგენლობაში, რომელსაც აგრეთვე დაერთვებოდა საანალიზო ტექსტების კორპუსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი ეთანხმება რეკომენდაციებს. ამასთან განაცახდა რომ კურსის ხელმძღვანელი მცირე ჯგუფში შესაძლებელია სულ სხვა შედეგზე გადის გავიდეს დიდ (მაგ.40 კაციან) ჯგუფში. რამდენადაც, დაწესებულებაში 10 კაციან ჯგუფებში მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისად, დატვირთვის საათები სრულიად საკმარისია. თუმცა რეკომენდაცია შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია

30. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მისი განცხადებით, იგი მონაწილეობას არ მიიღებდა განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა პროცედურული თვალსაზრისით წარმართავდა სხდომას.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამა შეივსოს ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციების მიმცემი დისციპლინებით.
- მიზანშეწონილია განხორციელდეს სასწავლო გეგმის სტრუქტურის კორექცია. კერძოდ, სახელდობრ, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში შევიდეს ლიტერატურათმცოდნეობითი სასწავლო კურსები რათა პროგრამის დასასრულს კურსდამთავრებულს სრულყოფილად ჰქონოდა ფილოლოგისათვის სავალდებულო დარგობრივი კომპეტენციები;
- სასურველია, თუ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული ენის კურსი ,,მასტერკლასი" გადაინაცვლებს საბაკალავრო პროგრამაში, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებული სასწავლო პროგრამა შინაარსობრივად საჭიროებს დარგში გამრავალფეროვნებას; - შედეგების გამო;
- მიზანშეწონილია გადამოწმდეს ცალკეული სამაგისტრო სილაბუსების შიგთავსი (მაგ., სემანტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, XX საუკუნის დრამა), რათა არ მოხდეს მათი დუბლირება მონათესავე დისციპლინებთან;
- სასურველია შეიცვალოს არჩევითი და სავალდებულო საგნების საკრედიტო მოცულობათა დისპროპორცია, კერძოდ, არჩევითი საგნების წილი პროგრამაში შემოიფარგლება მხოლოდ 15 კრედიტით, რაც სტუდენტს დაუტოვებდა არჩევანს თავად განესაზღვრა სასწავლო პორტფოლიო;
- სასურველოა განიმარტოს 5-კრედიტიანი კვლევითი პროექტის/ნაშრომის არსი და მიზანი, რამდენადაც, პროგრამის კომპონეტს წარმოადგენს 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი;
- სასურველია ცალკეულ სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს რეკომენდაციის სახით მიეცეს მრავალფეროვანი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურა, რათა ის უკვე ამ საფეხურზე დამოუკიდებლად მიეჩვიოს პრობლემაზე მუშაობას, კრიტიკული აზრის შემუშავებასა და ლოგიკური დასკვნების გამოტანას. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ქართულ, ისე უცოხურ ენაზე;
- პროგრამაში წარმოდგენილი დასაქმების ფართო სპექტრი სასურველია, შესაბამისობაში მოდიოდეს სამაგისტრო პროგრამაში მაგისტრანტის მიერ დაგროვებული დარგობრივი კომპეტენციის ჩარჩოსთან.

შესაბამისად შეუძლებელია კურსდამთავრებული დასაქმდეს მთარგმნელად და თარჯიმნად, მაშინ როცა პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ორი საგანია ამ მიმართულებით და ისიც არჩევითი კურსების სახით. ასევე განმარტებას საჭიროებს რა დარგის ექსპერტ-ანალიტიკოსად საქმდება ზემოხსენებული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, თუ კი მას გარდა ინგლისური ფილოლოგიისა სხვა დარგობრივი კომპეტენციები დამატებითი პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე არ ექნება მიღებული.
- ასევე მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს დასაქმების კიდევ ერთი სფერო, კონკრეტულად – ინგლისური ენის მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუ კი კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში სულ მცირე 60 კრედიტი არ ექნება დაგროვებული განათლების მეცნიერების პროგრამის ფარგლებში, მას ნაკლებად შეიძლება უფლება ჰქონდეს იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგად;
- მიზნაშეწონილია სასწავლო კურსების სილებუსებში მითითებული იყოს არა პროგრამით განსაზღვრულის სწავლის ყველა მეთოდი, არამედ მხოლოდ ის მეთოდები რომლებიც მეტად შესაბამება სასწავლო კურსის შენაარს, მოცულობასა და მიზნებს;
- სასურველია სასწავლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტის სილაბუსში შეფასების მეთოდური ნაწილი გაიწეროს ინდივიდუალურად;
- პროგრამის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პარტნიორული ხელშეკრულებები გაფორმება უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და მობილობის რეჟიმის განხორცილება როგორ სტუდენტთათვის, ასევე აკადემიური პერსონალისათვის, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების ხარისხობრივ გაუმჯობესებას და დარგობრივი კუთხით დახვეწას;
- სასურველია, სასწავლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სია განივრცოს, სათანადო წიგნადი ფონდის არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „რიდერების“ სისტემის დანერგვა და მათი განთავსება მიმართულების ბიბლიოთეკაში კონკრეტული სემესტრული აპარატის შემადგენლობაში, რომელსაც აგრეთვე დაერთვებოდა საანალიზო ტექსტების კორპუსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხდა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ცალკეული საგნები პროგრამაში მართლაც არ იყო გათვალისიწინებული, თუმცა პროგრამა რეალურად გადიოდა შედეგზე.
ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის შეთავაზება პროგრამაში არ არის საკმარისი კომპეტენციაზე გასასვლელად.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

31. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, გიორგი ცხვედიანმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:
- პროფილურ საგნებში (სოც.ფარმაცია, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი, წამალთფორმათა ტექნოლოგია-I და -II) პრაქტიკული მეცადინეობები გაწერილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ პედაგოგებზე, სალექციო კურსისთვის კი, სასურველია განმახორციელებლის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია და კომპეტენციები იყოს შეთავაზებული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გარანტორი; კურსის განმახორციელებელი სასურველია ფლობდეს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ფარმაციის დოქტორი) და პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც ექსპერტა აზრით, ეფექტურს გახდის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას და აამაღლებს მასში მონაწილე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა) ცალკეულ კომპონენტებში უფრო დეტალურად გაიწეროს შესაბამისი ქულის დაგროვების შესაძლებლობა და მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულა (ეს უკანასკნელი სათანადოდ გაწერილია უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში);
- მიზანშეწონილია პროგრამაში გადაიხედოს შემდეგი სასწავლო კურსების სწავლების თანმიმდევრობა: „ადამიანის ფიზიოლოგია“–ისწავლება II სემესტრში, „სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა“–ისწავლება III სემესტრში; „ჰისტოლოგია ციტოლოგიითა და ემბრიოლოგიით“– ისწავლება III სემესტრში (ბიოლოგია–ჰისტოლოგია საურველია უსწრებდეს ფიზიოლოგიას ან ისწავლებოდეს პარალელურ რეჟიმში); „ზოგადი თერაპია“– ისწავლება IV სემესტრში, ხოლო „პათოლოგია“– ისწავლება VI სემესტრში (პათოლოგია უნდა უსწრებდეს ზოგადი თერაპიის სასწავლო კურსს).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

32. შპს - სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არ არის ჩამოყალიბებული და არ შეესაბამება დასაქმების ბაზარს. არ არის გათვალისწინებული დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის მიზნებში საუბარია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჯარო და კერძო სამართალში ფართო ცოდნას, თუმცა არაფერია ნათქვამი სისხლის სამართალზე;
- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი სრულად ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსების აბსოლუტური უმრავლესობა არის თეორიული ხასიათის. რამდენიმე სილაბუსში ზუსტად ვერ დგინდება თუ რა ისწავლება პროგრამით. მაგალითად საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართლის კურსში სასწავლო თემატიკაში საუბარია მხოლოდ ქვეყნებზე. ვერ ირკვევა სასწავლო კურსის ფარგლებში კონსტიტუციური სამართლის რა მნიშვნელოვან დეტალებზე ამახვილებს კურსის ხელმძღვანელი ყურადღებას (ხელისუფლების დანაწილების მოდელები, ტერიტორიული ორგანიზება, ადგილობრივი თვითმმართველობა, ადამიანის უფლებები);
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული სწავლების ელემენტები, რაც სტუდენტის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს განავითარებს.
საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომელიც გამომდინარეობს პროგრამის კომპონენტების ერთობლიობით პროგრამაში გათვალისწინებული უცხოენოვანი კომპონენტი, პრაქტიკული სწავლება, სასწავლო კურსების შინაარსი, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე;
- პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი მუშაობის

მეთოდი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ეს სწავლის მეთოდები არ არის გააზრებული და სილაბუსების უმრავლესობაში მხოლოდ მეთოდების ნაწილს ვხვდებით. მაგალითად ისეთი სასწავლო კურსში, როგორიცაა ,,სასამართლო სხდომის ორგანიზაცია და პროცესუალური დოკუმენტების შედგენა სამოქალაქო სამართალწარმოებისას" გამოყენებული სწავლის მეთოდები არ არის ადეკვატური სასწავლო კურსის შინაარსთან, შესაძლებელია მეტი ყურადღება დაეთმოს უშუალოდ დოკუმენტების მომზადებას სტუდნეტების მხრიდან. სწავლის მეთოდები ერთნაირად არის მოცემული როგორც თეორიულ საგნებში აგრეთვე პრაქტიკულში მაგ: ,,კრიმინოლოგია" და ,,სასამართლო სხდომის ორგანიზაცია და პროცესუალური დოკუმენტების შედგენა სამოქალაქო სამართალწარმოებისას";

- პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა ნაწილობრივ ლოგიკურია. მაგალითად გაუგებარია რატომ - ისწავლება შრომის სამართალი მერვე სემესტრში. მითუმეტეს, რომ შრომის სამართალი სავალდებულო საგანია და სტუდენტმა მანამდე უნდა აითვისოს, სანამ საბაკალავრო ნაშრომის დაწერას დაიწყებს. სისხლის სამართლის პროცესი ისწავლება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პარალელურად, რაც შეიძლება არასწორად ჩაითვალოს, სტუდენტმა სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის შესწავლის შემდეგ უნდა დაიწყოს პროცესუალური ნორმების შესწავლა;
- შეფასების კომპონენტები სილაბუსში არის აღწერილი თუმცა არ არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები. (როგორ ხდება ქულების გადანაწილება კონკრეტულ კომპონენტებში);
- მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მისიაში გათვალისწინებული სწავლების ინტერნაციონალიზაცია, პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და დასაქმების ინტერნაციონალიზაციას. უცხო ენის სწავლება არ არის საკმარისი, არ ისწავლება პროფესიული ინგლისური, არ არის გათვალისწინებული უცხოური ლიტერატურა;
- სასწავლო პროცესში მონაწილეობს კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალი: სრული, ასოცირებული და მოწვეული პროფესორები. სალექციო პროცესში ჩართულია 3 სრული, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. ასევე 6 მოწვეული პროფესორი. აკადემიური პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მაგალითად ელგუჯა ჭანტურია კითხულობს შემდეგ საგნებს: რომის სამოქალაქო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მსოფლიო სამართლებრივი სისტემები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, შესავალი სამოქალაქო სამართალში, ვალდებულებითი სამართალი, სახელშეკრულებო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, შრომის სამართალი, ინტელექტუალური სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, გაკოტრების სამართალი. ელგუჯა ჭანტურიას პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ მისი ნაშრომები ძირითად შესრულებულია სახელშეკრულებო სამართალში. გიორგი გიორგაძე კითხულობს შემდეგ საგნებს: კონსტიტუციური სამართალი, საზღვარგარეთის კონსტიტუციური სამართალი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სასამართლო სხდომის ორგანიზაცია და პროცესიუალური დოკუმენტების შედგენა სამოქალაქო სამართალწარმოებისას. ზაურ ამილახვარი ასწავლის საერთაშორისო საჯარო სამართალს. ამ სფეროში მას არ აქვს დაწერილი ნაშრომი;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია მწირია იმისთვის რომ პროგრამა იყოს უზრუნველყოფილი;
- პროგრამის შინაარსი და გამოყენებული მასალა ვერ ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, ლიტერატურის ნაწილი დასახვეწია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ერთი პროფესორი კი არ კითხულობდა, არამედ უბრალოდ ბევრი სილაბუსი იყო

მისი შედგენილი. ასევე პრორგამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს, გიორგი გიორგაძეს უდიდესი გამოცდილება აქვს სასამართლო პროცესებში. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამდენ განსხვავებულ დისციპლინას ერთი პრაქტიკოსი ვერ შეასწავლის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს რეგიონის სპეციფიკა, ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის იურიდიული პროგრამის ბევრი კურსდამტავრებული წარმატებით არის დასაქმებული.

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება არის უარყოფითი, საბჭო ითვალისწინებს დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებს და საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის პროცედურის დაწყებას.

33. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკაკალვრო პროგრამის მიზნები ნათლად არ არის ჩამოყალიბებული და არ შეესაბამენა დასაქმების ბაზარს. არ არის გათვალისწინებული დასაქმების ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის მიზნებში საუბარია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაში, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან უახლესი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. თუმცა კონკრეტულად როგორ არის ეს მორგებული დასაქმების ბაზარზე არაფერია ნათქვამი. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტები საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტისათვის საჭირო მნიშვნელოვანი კურსები;
- საერთაშორისო ურთიერთოების საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი სრულად ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსების აბსოლუტური უმრავლესობა არის თეორიული ხასიათის. საერთაშორისო სამართლის სწავლება არ არის თანმიმდევრული. არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტისთვის საჭირო სასწავლო კურსები (დიპლომატიური და საკონსულო სამართალი; ადამინის უფლებათა საერთაშორისო სამართალი); გაუგებარია დამატებით სპეციალობის საგნების კონცენტრაციის არსებობა: რატომ არის გათავლისწინებული ისეთი საგნები, როგორიცაა: სპორტული აღზრდის საფუძვლები; ქართული სახელმწიფო და სამართლის ისტორია; აგმოყენებითი ინფორმატიკა; პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სწავლის მეთოდები სრულყოფილად;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული სწავლების ელემნტები, რაც სტუდენტის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს განავითარებს. პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი საგნების სწავლებას, როგორიცაა დიპლომატიური ეტიკეტი, კულტუროლოგია, ფილოსოფია რაც შეუზლებელს ხდის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის მომზადებას და იმ მიზნების მიღწევას რაც დასახულია პროგრამით;
- საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომელიც გამომდინარეობს პროგრამის კომპონენტების ერთობლიობით პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლება,

სასწავლო კურსების შინაარსი, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე;
- საბაკალავრო პროგრამაში არ არის ნათლად ჩამოყალიბებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში საუბარია, რომ ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე;
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამაში ფაქტობრივად არ არის საუბარი მეთოდებზე პროგრამის მიხედვით: ,,სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების ადეკვატური მეთოდები, როგორიცაა: ვერბალურა ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია – დებატები; პრაქტიკული მეთოდები; წერითი მუშაობა და სხვა.” - აღნიშნული გადატანილია თითქმის ყველა სილაბუსში, რაც ნიშნავს, იმას, რომ პროგრამის შექმნისას გააზრებული არ არის სწავლის მეთოდების მნიშვნელობა;

- პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა ნაწილობრივ ლოგიკურია. გაუგებარია რატომ ისწალება რამდენიმე საგანი დამატებით სპეციალობაში და რა კონცენტრაციას წარმოადგენს დამატებითი სპეციალობის საგნების შემადგენლობა;
- შეფასების კომპონენტები სილაბუსში არის აღწერილი თუმცა არ არის არწერილი შეფასების კრიტერიუმები. (როგორ ხდება ქულების გადანაწილება კონკრეტულ კომპონენტებში);
- მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მისიაში გათვალისწინებული სწავლების ინტერნაციონალიზაცია, პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და დასაქმების ინტერნაციონალიზაციას. უცხო ენის სწავლება არ არის საკმარისი, არ არის გათვალისწინებული უცხოური ლიტერატურა, საერთაშორისო კონტაქტები, მეორე უცხოენის სწავლება. უცხო ენის სწავლებაც არ არის საკმარისი;
- აკადემიური პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მაგალითად საბა წიწკაშვილი პოლიტიკური კონფლიქტების მაგისტრი კითხულობს შემდეგ საგნებს: შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკური სისტემები; საერთაშორისო ურთიერთოების ისტორია; საერთაშორისო ორგანიზაციები; საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები; გეოპოლიტიკა; სამხრეთ კავსკასიის ქვეყნების გეოპოლიტიკა; აკედმიური პერსონალის უმრავლესობას არ აქვს ნაშრომები იმ სფეროში რაზეც კითხულობენ სასწავლო კურსებს;
- პროგრამის შინაარსი და გამოყენებული მასალა ვერ ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს. ლიტერატურის ნაწილი დასახვეწია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნები მათთვის უცნობი იყო, რადგან ექსპერტებს დაწესებულების წარმომადგენლებისათვის ვიზიტის დროს არ უცნობებიათ აღნიშნულის თაობაზე. დასკვნა კი საბჭოს სხდომის დღეს მიიღეს და მომზადება ვერ მოასწრეს.

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

34. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული-უნარჩვევების გამომუშავებელი კურსების სწავლება;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა) ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას;
- სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებში;
- სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი საგნები, რომლებიც კონკრეტული სფეროს ფართოდ შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად (”კონსტიტუციური” და ”ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის” კურსებს წინ უსწრებდეს ”საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზება”);
- სასურველია სასწავლო გეგმა და პროგრამა უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე და კონკრეტულ სილაბუსებში გაიწეროს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სპეციფიკა;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმბოდა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

35. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მართალია პროგრამა სხვადასხვა კვალიფიკაციას ანიჭებს (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი – ფინანსებში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში) და შესაბამისად სწავლის შედეგებიც ყველა ამ კვალიფიკაციისათვის ცალკეა გაწერილი, მაგრამ სასურველია პროგრამა უფრო გამართული იყოს სტრუქტურულად და სტილისტურად, ცალკე იქნას აღწერილი კომპეტენციათა ის ჩამონათვალი, რომელიც საერთოა ყველა სპეციალობისათვის, ხოლო კონკრეტული კვალიფიკაციის აღმწერი დახასიათებულ იქნეს მხოლოდ იმ კატეგორიებით, რომლითაც ის განსხვავდება სხვა სპეციალობის შესაბამისი კვალიფიკაციის აღმწერიდან.
- სასურველია სილაბუსებში გაწერილი იყოს შეფასების კრიტერიუმები, რათა სტუდენტმა იცოდეს რომელ კომპონენტში რა მოთხოვნებს უყენებს პედაგოგი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მის მიერ მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
- სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული იყოს საკონსულტაციო საათები.
- სასურველია უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებდეს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმბოდა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

36. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შენიშვნა და რეკომენდაციები:
- სატყეო საქმის პროგრამის სილაბუსში კურსი "სატყეო ტაქსაცია" მითითებული ძირითადი ლიტერატურა 1960–1968წწ. გამოცემები და ითხოვს განახლებას.
- სასურველია, დარგობრივი კომპეტენციების შინაარსობრივად გამართვა, და უფრო მეტად გამოკვეთა;
- პროგრამის ხელმძღვანელი მოწვეულია ხელშეკრულებით, მიზანშეწონილია, პროგრამის ხელმძღვანელი იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი;
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყოს სასწავლო კურსების განმახორციელებელი ხელშეკრულებით მოწვეული ყველა სპეციალისტის სახელი და გვარი;
- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სწავლის შედეგის აღწერაში მითითებული იყოს უფრო მეტი კომპეტენცია, სილაბუსში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პრაქტიკის დებულების შესახებ, რომელშიც გაწერილია პრაქტიკის ანგარიშის გაფორმებისა და შეფასების წესი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმბოდა რეკომენდაციებს. ამასთან განმარტა, რომ ,,სატყეო ტაქსაციის" სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია უკვე შეძენილი ჰქონდა და ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

37. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შემდეგი შენიშვნები:
- ძირითადი სპეციალობის კომპონენტები (85 კრედიტი) არ არის საკმარისი დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ, რამოდენიმე სასწავლო კურსი თავისი მიზნებით, შედეგებით და შინაარსით თითქმის იდენტურია;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით, მიუხედავად იმისა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში. ზოგადი კომპეტენციები იდენტურია საკვალიფიკაციო ჩარჩოსი, ხოლო დარგობრივი კომპეტენციებში მითითებულია ისეთი კომპეტენციები (მაგ: „შეეძლოს უნარ–ჩვევების გამოვლენა ინფორმაციის ანალიზისას, ახდენდეს მიღებული ცოდნის შედეგების შეჯამებას, გააჩნდეს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერატიული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოგისტიკის, მარკეტინგის, შრომითი რესურსების მართვის, ფინანსების, მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აცნობიერებს აღნიშნულ დარგებსა და ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირს.“ “ერკვევა ტურიზმის სამართლებრივი საფუძვლების პრინციპებში” და ა.შ) რომელიც ვერ მიიღწევა წარმოდგენილი პროგრამით. ამავე დროს გარკვეული კომპეტენციები არის არა ბაკალავრიატის არამედ მაგისტრატურის საფეხურის;
- პროგრამის განხორციელება ჯერ დაწყებული არაა, თუმცა წინა შენიშვნებიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას;
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არალოგიკურია, კერძოდ სასწავლო კურსისათვის „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“ დაშვების წინაპირობაა „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2“ რომელიც ტურიზმის სპეციალობაზე არ ისწავლება. ასევე „ დაზღვევა ტურიზმის“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა „ფინანსების საფუძვლები“ რომელიც ასევე არ ისწავლება საგანმანათლებლო პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები შემუშავებულია, მაგრამ სრულყოფილად ვერ იქნა გამოყენებული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის პროცესში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტურიზმი ახალი მიმართულებაა, შესაბამისად, პროგრამის წარმოდგენა მისი დახვეწის პროცესში განხოცრიელდა. თუმცა იგი ამ ეტაპზე ხარვეზები გამოსწორებულია და შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ისეთი სასწავლო კურსებია შემოთავაზებული რომლებიც არ არის საჭირო ტურიზმის სფეროში დასაქმებისათვის და არ ისწავლება ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც სავალდებულოა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებზე გასასვლელად. ამასთან პროგრამაში მიზანი ნათლად არ იყო განსაზღვრული - რის გამოც პროგრამა ვერ იქნებოდა ორიენტირებული დასაქმებაზე და ვერ უზრუნველყოფდა კონკურენტუნარიანი კადრების გამოშვებას.

თავმჯდომარემ სთხოვა დაეზუსტებინა ექსპერტს მისცემდა თუ არა პროგრამა სათანადო კვალიფიკაციას სტუდენტს. რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ამ ეტაპზე ვერ გავიდოდა სათანადო შედეგზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო ხელმძღვანელობდა წარმოდგენილი მასალების მიხედვით და ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისად იგი ვერ მიიღებდა მხედველობაში გამოსწორებულ დაკუმენტაციას.

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

38. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შენიშვნა და რეკომენდაციები:

შენიშვნა:
- სილაბუსში ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ მოყვანილი ლიტერატურა სიხარულიძე -„ მინდვრის კულტურათა სელექცია და მეთესლეობა 2. ტყებუჩავა ზ. - სოფ. მეურნ. საფუძველები I-II ნაწ. 2008წ. მენაღარიშვილი ა. -აგროქიმია-1966 არ შეესაბამება კურსის ძირითად ლიტერატურას და ვერ შეასწავლის კურს სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. კურსის სილაბუსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს სასოფლო მეუნეობის წარმოებაში გამოყენებული ტრაქტორები, ავტომობილები, სატრანსპორტო მისაბმელები, მათი შერჩევა-გამოყენება. მოცემული ლიტერატურა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც დამხმარე ლიტერატურა და არა ძირითადი ლიტერატურა. პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება და სასურველია აღნიშნული კურსის სილაბუსი გასწორდეს.

რეკომენდაციები:
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ფართოდ ასახავდეს დარგობრი კომპეტენციებს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სილაბუსში მოყვანილი ლიტერატურა გამოცემის მიხედვით ითხოვს განახლებას ახალი ლიტერატურით. სასურველია პროგრამის განხორციელებისას პედაგოგმა წარმოადგინოს ლექციის ელექტრონული ვერსია, სადაც ასახული იქნება განახლებული ინფორმაცია;
- პროგრამის ხელმძღვანელი მოწვეულია ხელშეკრულებით, მიზანშეწონილია, პროგრამის ხელმძღვანელი იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი;
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყოს სასწავლო კურსების განმახორციელებელი ხელშეკრულებით მოწვეული ყველა სპეციალისტის სახელი და გვარი;
- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სწავლის შედეგის აღწერაში მითითებული იყოს უფრო მეტი კომპეტენცია, სილაბუსში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პრაქტიკის დებულების შესახებ, რომელშიც გაწერილია პრაქტიკის ანგარიშის გაფორმებისა და შეფასების წესი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსში აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დარგის პოპულარიზაცია სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი

მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, მისი განცხადებით, სწორედ ეს პროგრამა იყო მიმართული ამ მიზნების განხორციელებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

39. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შენიშვნები:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო დისციპლინების ჩამონათვალში არსებული საგნები არ არის საკმარისი კომპიუტინგის დარგობრივი კომპეტენციის მისაღწევად;
- კურიკულუმში შემავალი უმრავლესი საგნების სილაბუსის შინაარსი არ შეესაბამება დასახელებას;
- გაურკვეველია რას ნიშნავს „თავისუფალი – არჩევითი სასწავლო კომპონენტების (სპეციალობის) კონცენტრაციის - 20 კრედიტი“, ამ ბლოკის საგნები მრავალფეროვანია და არ წარმოადგენს, რომელიმე დარგის ან მიმართულების კონცენტრაციას;
- სასწავლო საგნების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების სრულყოფილ მიღწევას კურსდამთავრებულები ვერ გაუწევენ სრულფასოვან კონკურენციას განათლების შემდგომ საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე;
- საბაკალავრო პროგრამა ,,კომპიუტინგი” წარმოადგენს ახალ პროგრამას და მას ჯერ-ჯერობით არ ჰყავს მსმენელები. ამდენად დაინტერესებული მხარეების სრულყოფილი ჩართულობა შეუძლებელია. გარდა ამისა უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელი საკმარისად არ იცნობს სილაბუსების შინაარსს, რომელიც სხვა აკადემიური პერსონალის მიერაა წარმოდგენილი;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათემატიკის თუნდაც მინიმალური დადებითი ზღვარის გადალახვის გარეშე, (ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტი არ აბარებს მათემატიკას) სტუდენტს გაუძნელდება „კომპიუტინგის“ მთელი რიგი დისციპლინების დაძლევა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროგრამაში მათემატიკურ დისციპლინას დათმობილი აქვს მხოლოდ 5 კრედიტი;
- პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებულია სწავლების მეთოდების ერთიდაიგივე ერთობლიობა „ზეპირსიტყვიერი (ვერბალური) მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; პრეზენტაციის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, რომელიც ეფუძნება მსჯელობას ამა თუ იმ საკითხების ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დეტალური განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.“ პროგრამაში შემავალ საგანთა ნაწილში მიზანი ნათლად არაა ჩამოყალიბებული;
- რიგ დისციპლინებში დაშვების წინაპირობები ბუნდოვანია და არ ეფუძნება იმ ცოდნას რაც აუცილებელია მის შესასწავლად. მაგალითად:

- ოპერაციული სისტემები - „სტუდენტი უნდა ფლობდეს ცოდნას კომპიუტერის არქიტექტურისა და პერიფერიული მოწყობილობების შესახებ. ან გადიოდეს დისციპლინას „კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია“.
- ქსელური მონაცემთა ბაზის მართვა სისტემა SQL -„ სტუდენტი უნდა ფლობდეს ცოდნას შემდეგი საკითხების შესახებ: ოპერაციული სისტემები“
- მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის სისტემა SPSS – „სტუდენტს გავლილი უნდა ქონდეს დისციპლინები: „ინფორმატიკის შესავალი“, „ოპერაციული სისტემები“

- სასწავლო მასალა ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში წარმოდგენილ საგანთა გარკვეულ ნაწილს (ინფორმატიკის შესავალი, კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია, ოპერაციული სისტემები, ალგორითმიზაცია და მონაცემთა სტრუქტურები, საკომუნიკაციო და ქსელური ტექნოლოგიები, ინფორმაციული მენეჯმენტი და სხვ.) ძირითად ლიტერატურაში მითითებული აქვს ერთი და იგივე სახელმძღვანელო „ეკონომიკური ინფორმატიკა MS Offise 2007“, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2008, ISBN 978-99940-807-9-3“.

ექსპერტმა გამარტა, რომ პროგრამა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას, რადგანაც პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების ერთობლიობა სტუდენტს სათანადო კომპეტენციას ვერ გამოუმუშავებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენლის განმარტებით, შესაძებელია ექსპერტთა დასკვნაში მითიტებული შენიშვნების აღმოფხვრა

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტინგის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

40. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ შენიშვნები და რეკომენდაციები:

შენიშვნები:
- პროგრამის ორიენტირება დასაქმების ბაზარზე უზრუნველყოფილია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ინტეგრირებული სასწავლო პრაქტიკით, თუმცაღა წარმოდგენილი პრაქტიკის სილაბუსი ნაკლებად სავარაუდოა გავიდეს ამ კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგზე. კონკრეტულად, სასწავლო პრაქტიკის შინაარსში თემების ჩამონათვალი ასეთია: ეკონომიკური აზროვნების სტილი - 8 სთ; ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა - 8 სთ; ალტერნატიული ღირებულება და საქონლის მიწოდება - 8 სთ და სხვა. აღნიშნულ თემებზე მითითებულია სავალდებულო ლიტერატურად ჰეინეს „ეკონომიკური აზროვნება“. გაუგებარია 8 საათის მანძილზე როგორ უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს ეკონომიკური აზროვნების სტილი ჰეინეს წიგნის შესაბამისი თავის წაკითხვის შედეგად. ამდენად ვერ დასტურდება პროგრამის მიზნების დასაქმების ბაზარზე ორიენტირება და ასევე მისი მიღწევადობა;
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია საგნები „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1“ და „ეკონომეტრიკა“, თუმცაღა ამ ორი განსხვავებული საგნის სილაბუსი არის აბსულუტურად იდენტური, განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაშია, მეტიც დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ეკონომიკის“ დამატებითი პროგრამა სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის, სადაც გარდა აღნიშნულისა დამატებით ისწავლება კიდევ საგანი „ფინანსური მათემატიკა, რაოდენობრივი მეთოდები“, რომლის სილაბუსიც ზემოთ აღნიშნული ორისგან ასევე მხოლოდ სახელით განსხვავდება;
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების „აგრარული ეკონომიკა 1“ და „აგრარული ეკონომიკა 2 “ სილაბუსში მიზნები და სწავლის შედეგები არის აბსულუტურად იდენტური. ასევე ერთი და იგივე მიზნები და შედეგები აქვს საგნებს „მიკროეკონომიკა 1“, „მაკროეკონომიკა 1“, „მიკროეკონომიკა 2“, „მაკროეკონომიკა 2“;
- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია საგნები: „ეკონომიკის პრინციპები 1“, „ეკონომიკის პრინციპები 2“, „მიკროეკონომიკა 1“, „მაკროეკონომიკა 1“, „მიკროეკონომიკა 2“, „მაკროეკონომიკა 2“ სულ ჯამში 6 სემესტრის მანძილზე, ანუ 30 კრედიტი. თუმცაღა საბაკალავრო დონეზე ამ მოცულობით მიკრო და მაკროეკონომიკის სწავლება არამიზანშეწონილია;

- უნივერსიტეტში „ეკონომიკის“ ძირითად პროგრამასთან ერთად შემუშავებულია „ეკონომიკის“ დამატებითი პროგრამაც (არასპეციალისტებისათვის), სადაც საგან ეკონომეტრიკის გარდა დამატებით ისწავლება ასევე საგანი ფინანსური მათემატიკა, რომელთა სილაბუსები გარდა იმისა რომ იდენტურია (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ), ასევე გაუგებარია რატომ უნდა იყოს აუცილებელი დამატებითი სპეციალობის სტუდენტებისათვის მათემატიკის მიმართულების კიდევ ერთი რთული საგნის სწავლება მაშინ როდესაც ეს აუცილებელი არაა ძირითად სპეციალობაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის. ასევეა საგნების „ეკონომიკური ანალიზი“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ შემთხვევაში - მათი სწავლება ბევრად მიზანშეწონილი იქნებოდა ძირითადი სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისათვის;
- ეკონომიკის დამატებითი სპეციალობისათვის განსაზღვრულია საგანი „საჯარო ფინანსები“, რომლის სილაბუსი აბსოლუტურად იდენტურია ბიზნესის ადმინისტირების პროგრამით გათვალისწინებული საგნის „სახელმწიფო ბიუჯეტი“ სილაბუსისა.
- ზემოთაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით პროგრამის განხორციელება ჯერ დაწყებული არაა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები შემუშავებულია, მაგრამ სრულყოფილად ვერ იქნა გამოყენებული ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის პროცესში.

რეკომენდაციები:
- სასურველია სილაბუსებში გაწერილი იყოს შეფასების კრიტერიუმები, რათა სტუდენტმა იცოდეს რომელ კომპონენტში რა მოთხოვნებს უყენებს პედაგოგი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მის მიერ მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ;
- სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული იყოს საკონსულტაციო საათებიც;
- სასურველია უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებდეს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.
წარმომადგენელმა განმარტა რომ ეთანხმება და გამოასწორებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

41. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა. მისი განცხადებით, ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამის ისეთი განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც ასახვას ჰპოვებს პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ხედვას პროგრამის შედგომი განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ;
- სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ აქტუალობას იძენს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ერთობლივი აკადემიური ხარისხით, როცა სტუდენტი სწავლობს ერთი აკადემიური ხარისხისათვის რამდენიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. ამ კუთხით, სასურველია უპირველესად დაიწყოს მუშაობა საქართველოს იმ უმაღლეს დაწესებულებებთან, რომლებიც მსგავს საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს;
- სასურველიაბ სასწავლო დატვირთვაში გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წილი, ხოლო ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტულად მიეთითოს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოთა თემატიკა („ზოგადი და არაორგანული ქიმია“, „გამოყენებითი ეკოლოგია“, „აგროეკოლოგია“);
- სტუდენტების უკეთ ინფორმირების მიზნით, სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში (ეკოლოგია-1, ეკოლოგია -2, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი, ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, აგროეკლოგია, დედამიწათმცოდნეობა) სალექციო თემების გასწვრივ მითითებულ იქნას გამოყენებული ლიტერატურა (გვერდების ჩვენებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის მიზნით, სასურველია, სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსების შემოტანა, შესაბამისად სასწავლო გეგმაში დამატებულ იქნას სპეციალიზაციის სასწავლო კურსები, როგორიცაა საინჟინრო ეკოლოგია, ნარჩენების მართვის საფუძვლები, ეკოლოგიური მონიტორინგი;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განმარტა რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს და ხარვეზების გამოსწორება დაწრყებულია.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

42. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულ შენიშვნასა და რეკომენდაციებზე:

შენიშვნა:

- რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო , თანაც მოძველებული.

რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ფართოდ ასახავდეს დარგობრივ კომპეტენციებს;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების კრიტერიუმებში მითითებული იყოს შეფასებისას რა ცოდნის დონით ხდება ქულების მინიჭება;
- სასურველია სილაბუსებში გამოკვეთილი იყოს პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკა;
- უმჯობესია სასწავლო კურსის სახელწოდება "ხილის და ბოსტნეულის პირველადი გადამუშავება" შეიცვალოს დასახელებით: „ დაკონსერვების ტექნოლოგია";
- პროგრამის ხელმძღვანელი მოწვეულია ხელშეკრულებით, მიზანშეწონილია, პროგრამის ხელმძღვანელი იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი;
- სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს სასწავლო კურსების განმახორციელებელი ხელშეკრულებით მოწვეული ყველა სპეციალისტის სახელი და გვარი;
- სასურველია სასწავლო პრაქტიკის სწავლის შედეგის აღწერაში მითითებული იყოს უფრო მეტი კომპეტენცია, სილაბუსში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პრაქტიკის დებულების შესახებ, რომელშიც გაწერილია პრაქტიკის ანგარიშის გაფორმებისა და შეფასების წესი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნეისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებებს, ასევე აღნიშნა რომ გორში ყველანაირი ბაზა არსებობს იმისათვის რომ კურსდამთავრებული დასაქმდეს. დასაქმების ადგილია გორში არსებული 3 საკონსერვო ქარხანა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს დაფიქსირებული შენიშვნისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა შეძლებდა თუ არა შედეგზე გასვლას, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა რომ პროგრამა შეძლებდა შედეგზე გასვლას.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

43. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე:

შენიშვნები:

- წარმოდგენილ სასწავლო პროგრამას ესაჭიროება სრულყოფა და კორექტირება;
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა *ინგლისური ენა* მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 130 კრედიტი (სავალდებულო, არჩევითი კურსების გარეშე), დამატებით პროგრამის (minor) მოცულობაში - 60 კრედიტი მოაზრებულია არა რომელიმე სხვა პროგრამიდან დარგობრივი კომპეტენციის საგანთა ჯგუფი, არამედ ე.წ. თავისუფალი კონცენტრაცია, რაც მოიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა კონკრეტულ დიციპლინებს. პროგრამაში წარმოდგენილია აგრეთვე არჩევით დისციპლინათა ჩამონათვალი, საიდანაც სტუდენტი უნდა ირჩევდეს საგანთა ჯგუფს 20 კრედიტის მოცულობით. წარმოდგენილი კრედიტების მოცულობის განაწილება არ არის თანაზომიერი, ვინაიდან სავალდებულო 130 კრედიტი ძირითადი სპეციალობისათვის, თავისთავად ამცირებს არჩევითი საგნების მოცულობას სპეციალობიდან, შესაბამისად, სტუდენტს ეზღუდება არჩევითობის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების - სასწავლო კურსების - გაწერა პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის კოეფიციენტის მიხედვით არ არის სათანადოდ მოაზრებული.
- ცალკეულ დისციპლინის სილაბუსში წარმოდგენილი მეთოდთა ნუსხა ერთგვაროვანია ყველა სასწავლო დისციპლინისათვის;
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შემადგენელი კომპონენტები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით, რისი თქმის უფლებას გვაძლევს საგანთა ჩამონათვალი (პროგრამაში ფიქსირდება უცხოური ენის ფილოლოგიის სწავლების სამივე აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, სავალდებულო ე.წ. კანონდისციპლინები ლინგვისტიკაში, არასრულყოფილია ლიტერატურათმცოდნეობის წილი), მაგრამ ვინაიდან ვინაიდან სათანდოდ არ არის გაწერილი ცალკეული კომპონენტების საკომპეტენციო ხარისხი (ზოგადად კომპეტენციისათვის სავალდებულო ზოგიერთი საგანი გამოტანილია დისციპლინათა სავალდებულო სიიდან და კონკრეტული დასაბუთების გარეშე გადატანილია არჩვითი დისციპლინების რიგში), ეს არ იძლევა მკვეთრ სურათს სასწავლო პროგრამის ერთიანობის შესახებ, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ღებულობს სათანადო კვალიფიკაციას;
- წარმოდგენილი სახით საბაკალავრო პროგრამას გაუჭირდება უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე;

- კონკრეტული ავტორის სილაბუსებში (ერთი და იმავე ავტორის სხვადასხვა სილაბუსში) მეორდება მეთოდთა ჩამონათვალი;
- აკადემიური პერსონალი და მოწვეული პირები ნაწილობრივ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და უცხოურ ენაში ენობრივი კომპეტენციებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა ნაწილობრივ ითვალისწინებს დარგის აქტუალურ კვლევებს;

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვნია გასწორდეს პროგრამის სახელწოდება, კერძოდ, ფილოლოგიური შტუდიები გულისხმობს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არა მხოლოდ ენის, არამედ ლიტერატურის სწავლებას, მითუმეტეს, რომ ზემოხსენებული პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულს ენიჭება ფილოლოგის კვალიფიკაცია, შესაბამისად, პროგრამის მოცემულობაში უნდა იკითხებოდეს *ინგლისური ენა და ლიტერატურა/ინგლისური ფილოლოგია.*
- საექსპერტო კომისია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძირითადი დარგობრივი კომპეტენციის საგანთა ჩამონათვალში შემოთავაზებული სასწავლო დისციპლინები: *აუდიო-ვიდეო (მოსმენა) 1/2/3, ზეპირმეტყველება 1,2, წერითი პრაქტიკა 1,2, საშინაო კითხვა* უცხოური ენების სწავლისა და სწავლების თანამედროვე ევროპული სტანდარტების მიხედვით სასწავლო პროგრამაში არ უნდა იყოს წარმოდგენილი დამოუკიდებლად, არამედ ეს არის სწორედ ის ოთხი სავალდებულო მიმართულება, რომლის მიხედვითაც ფასდება საკომუნიკაციო ენობრივი კომპეტენცია და მათი წარმოდგენა სასწავლო პროგრამაში უნდა მოხდეს ინტეგრირებული სახით;
- ძირითად პროგრამაში უცხოური ენის ფილოლოგიის სწავლება უნდა განხორციელდეს სამი არსებითი მიმართულებით: *უცხოური ენების პრაქტიკული კურსი, ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა*, შესაბამისად, საკომპეტენციო საგნების სიაში 10 კრედიტის მოცულობით წარმოდგენილი ლიტერატურათმცოდნების დისციპლინები სასურველია შეივსოს ქვედარგის საკომპეტენციო დისციპლინებით, ხოლო *საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია* შესაძლოა გადავიდეს სასპეციალობო არჩევითი კურსების სიაში.
- სასურველია და შესაძლებელი ენის პრაქტიკული კურსის 5 კრედიტიანი მოცულობის ფარგლებში გაიზარდოს კვირეული საკონტაქტო/საუდიტორიო საათების მოცულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული საკონტაქტო საათების მოცულობა არ არის საკმარისი იმ მიზნის მისაღწევად, რასაც საკომუნიკაციო ენის სწავლების სტანდარტი და ასევე სახელმწიფო მოთხოვნა უყენებს ამ დარგის სპეციალისტებს.
- ექსპერტთა ჯგუფი სავალდებულოდ თვლის, გაიწეროს თითოეული ენობრივი დონე კონკრეტული ენობრივი კომპეტენციის შედეგების ინდიკატორების შესატყვისად (იხ. უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო).
- სავალდებულო საგნების ჩამონათვალში არ უნდა ფიქსირდებოდეს აგრეთვე ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები, ვინაიდან ზემოხსენებული სასწავლო დისციპლინა არის განათლების მეცნიერებების სასწავლო დისციპლინათა შემადგენელი. შესაბამისად, ე.წ. დამატებითი დისციპლინების სიიდან სავალდებულო საგანთა რიგში გადაინაცვლებს ისეთი არსებითი კანონდისციპლინები, როგორიცაა თეორიული ფონეტიკა (რაც საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საკმარისია 5 კრედიტის მოცულობით), ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (დისციპლინის შიგთავსი/შინაარსი არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ლინგვისტური დისციპლინების მიმოხილვას, ამ კურსის ფარგლებში განხილული უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემატიკაც), XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორია, ინგლისური ენის სტილისტიკა;
- სასურველია გასწორდეს აგრეთვე ცდომილება საგანთა კომპეტენიების განსაზღვრის დროს, კერძოდ, ის ჩამონათვალი, რომელიც პროგრამაში მოხსენიებულია ე.წ. დამატებითი დისციპლინების (minor) სახელწოდებით, არ არის მართებული. პროგრამის ამ ნაწილის სახელდებისას თავმოყრილია

ისეთი ტერმინოლოგია, რაც ვერ ასახავს ჩამონათვალის შინაარს, რომლის მიხედვითაც წინამდებარე ჩამონათვალი მეტადრე არჩევითი დისციპლინებია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროებიდან, მათ შორის არის აგრეთვე სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი სფერო ფსიქოლოგიაც.

- თავისუფალი არჩევითების კონცენტრაციის ფარგლებში გათვალისწინებულია *ფილოსოფია*, რაც მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს ერთ-ერთ ძირითად დისციპლინათა შორის *ენათმეცნიერების შესავალთან* ერთად, რომლებიც სავალდებულოა და აგრეთვე აუცილებელი პირობაა არამხოლოდ ფილოლოგიური კვლევებისათვის, არამედ სრულია ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის.
- კონკრეტული დისციპლინების სათაურები პროგრამაში არის დარგის ამსახველი და არა სასწავლო დისციპლინის, კერძოდ, სასწავლო პროგრამაში უნდა ფიქსირდებოდეს არა *ფილოსოფია*, არამედ *შესავალი ფილოსოფიაში,* არა *ენათმეცნიერება,* არამედ *შესავალი ენათმეცნიერებაში.*
- სასურველია ცალკეულ სილაბუსში მკვეთრად იყოს გაწერილი კონკრეტული დისციპლინის სწავლის შედეგი, რომელიც სავალდებულოა რათა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულ ქონდეს სათანადო დარგობრივი კომპეტენციები;
- სასურველია მეთოდოლოგიური ნაწილი კონკრეტული დისციპლინისათვის გაიწეროს ინდივიდუალურად, რაც გახდება სასურველი წინაპირობა სასწავლო დისციპლინების მართებულად სწავლებისა და კურსის შესწავლის შემდგომ დასახული მიზნის ზუსტად განხორციელებისათვის;
- მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა საბოლოოდ მკაფიო სურათს იძლეოდეს დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკეული სასწავლო კურსის დაგეგმვისას (ცალკეული სილაბუსის მიზანი და შედეგი დეტალურად უნდა იქნას ჩამოყალიბებული, ისე რომ ლოგიკური ბმა არსებობდეს პროგრამის შემადგენელ ნაწილებს შორის, განსაკუთრებით ეს ეხება პრაქტიკული ენის სასწავლო კურსებს და დარგობრივი ლიტერატურის ისტორიას). შესაბამისად, პროგრამა ერთიანობაში იძლეოდეს ზოგადად სურათს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იძენს: შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს (მაგ., თუ ლიტერატურის სემიარზე ტექსტზე მუშაობა არ წარიმართა, ბუნებრივია, ეს პუნქტი არ განხორციელდება), უცხოური ენის კომპეტენციას B^2/C^1 დონეზე, ინტერკულტურულ კომპეტენციას (ინტერკულტურული დიალოგის საფუძვლები), ასევე დარგობრივ კომპეტენციებს: ეუფლება ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებს, ასევე იღებს ძირეულ ცოდნას ინგლისურენოვანი ქვეყნების კულტურის, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. ზემოხსენებული კომპეტენციები ივსება კონკრეტული პროგრამის კომპონენტების მიერ, რაც ცალსახად თვალსაჩინოდ უნდა აისახოს საბოლოო შედეგებში, რომლის მიღწევას საფუძველად უნდა დაედოს შესაბამისი სასწავლო დისციპლინები და მათი ასათვისებელი სათანადო მასალები (მაგ., პრაქტიკულად შეუძლებელია დისციპლინა *მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია* გავიდეს იმ კონკრეტულ შედეგზე, რასაც ეს საგანი გულისხმობს სათაურის მიხედვით, იმ სავალდებულო ლიტერატურაზე დაყრდნობით, რაც წარმოდგენილია სასწავლო სილაბუსში (ს. ყაუხჩიშვილი ‘ანტიკული ლიტერატურის ისტორია), ზემოხსნებული დისციპლინა კი ემსახურება კულტურის, ცივილიზაციის განვითარებისა და მისი მრავალფეროვნების აღქმას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა უცხოური ენისა და უცხოური ცივილიზაციის შესწავლისათვის. ამას გარდა მსოფლიო ცივილიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ ბერძნულ-რომაული კულტურის სივრცეს და ეს არის მცდელობა კონკრეტულად მხოლოდ ორი ცივილიზაციის ფართო რაკურსში დანახვისა, რაც პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის გაწერილ მიზნებს სცდება. იხ. სილაბუსი).
- სასურველია აგრეთვე სასწავლო პროგრამაზე დართული სწავლის შედეგების რუკა ზუსტად ასახავდე ცალკეული დისციპლინის მიერ გამომუშავებულ უნარებსა და კომპეტეცნიებს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალისა და სასწავლო პროგრამის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით შრომის ბაზარზე, სასურველია სავალდებულო დისციპლინების ჩამონათვალი შეივსოს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სასწავლო კურსისაგან, რომელიც ითვალისწინებს 1 სალექციო და 2 სასემინარო შეხვედრას, სადაც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ დაეუფლონ პრაგმატული და დარგობრივი ტექსტების თარგმნის ტექნიკებს. ასევე მნიშვნელოვანია პროგრამა პროგრამის იმ მონაწილეებს, რომელთაც შემდგომში სურთ იმუშაონ ზოგადსანამანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში დამატებითი პროგრამის ფარგლებში

სთავაზობდეს 60 სასწავლო კრედიტის დაგროვებას განათლების მეცნიერების პროგრამიდან. ვინაიდან მსგავსი პროგრამა ზემოხსენებულ სასწავლო უნივერსიტეტში არ მოქმედებს, ეს შეთავაზება შესაძლებელია განხორციელდეს რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი აკრედიტირებული პროგრამის ფარგლებში მემორანდუმით გათვალსიწინებული პირობების შესატყვისად. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მხოლოდ ორი დისციპლინა (*ინგლისური ენის სწავლების მეთოდები* და *პედაგოგიკა, 10 კრედიტი*) კურსდამთავრებულს ვერ შესძენს იმ კომპტენციას, რაც მოეთხოვება ამ სფეროში დასაქმებულ სპეციალისტს.

- სასურველია სტუდენთა პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მიზნით საუნივერსიტეტო სივრცეში მუშაობდეს სასწავლო დეპარტამენტთან კოოპერაციაში ტუტორთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა აგრეთვე მაპროფილებელი დარგის სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობს საუნივერსიტეტო აკადემიურ პროგრამებს, რათა მან შესძლოს სათანადო და აუცილებელ ინფორმაციის გაცემა, კონსულტაციის ჩატარება.
- სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი გაწერილი სქემის მიხედვით უზრუნველყოფდეს სტუდენტთა დამატებით კონსულტაციებს, რაც ასევე მნიშვნელოვანია აისახოს არამარტო აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, არამედ კონკრეტული დისციპლინის სილაბუსშიც;
- სასურველია შეიცვალოს წარმოდგენილი პროგრამის არქიტექტონიკა, კონკრეტულად კი დარგის სავალდებულო საგნების ჩამონათვალი შეივსოს დარგობრივი (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი) დისციპლინებით, რომლებიც ამ ეტაპზე არჩევით ფორმატშია გააზრებული, რათა სტუდენტმა მიიღოს ის კომპეტენციები, რომელიც მას საშუალებას მისცემდა შეესრულებინა საბაკალავრო ნაშრომი.
- რაც შეეხება პრაქტიკის ფარგლებში პედაგოგიური პრაქტიკის გაკეთებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ეტაპზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პრაქტიკულად მიუღწევადია, თუ არ მოხდა პროგრამის თავიდან გააზრება;
- სასურველია მოხდეს პროგრამის პრაქტიკულად თვისობრივი გადამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის მონაწილე პირი (სტუდენტი) და შესაბამისად, კურსდამთავრებულის დასაქმების საკითხი ვერ იქნება ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციაზე;
- სასურველია დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ასევე საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს დარგისთვის აუცილებელი და სპეციფიკური მოწყობილობებითა (მაგ., ლინგოფონის კაბინეტი, მითუმეტეს, რომ პროგრამაში ცალკე დისციპლინადაა მოაზრებული თეორიული ფონეტიკა, აუდიო-ვიზულაური სწავლებები და სხვ.) და მასალებით (იგულისხმება სასწავლო მასალა), რათა პროგრამის ფუნქციონირება მოხდეს სრულყოფილად;
- სასურველია, სასწავლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სია განივრცოს. სათანადო წიგნადი ფონდის არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ,,რიდერების" სისტემის დანერგვა და მათი განთავსება მიმართულების ბიბლიოთეკაში კონკრეტული სემესტრული აპარატის შემადგენლობაში, რომელსაც აგრეთვე დაერთვებოდა საანალიზო ტექსტების კორპუსი.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში რეალური შედეგები არ არის გათვალისწინებული და ძნელი იქნება საჭირო კომპეტენციების გამომუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს შენიშვნებსა და რეკომენდაციებში და აღნიშნა, რომ გორში რეგიონულ დონეზე დგას კადრების სიმწირის საკითხი და შეუძლებელია კადრების თბილისიდან მოწვევა.

საბჭომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

44. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის - ქართული ენა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლ პროგრამაზე, სასურველია ინფორმაცია განთავსებული იყოს მინიმუმ 2 საერთაშორისო ენაზე, რადგან უნივერსიტეტი სასწავლო კურსს სთავაზობს როგორც არაქართულენოვან ეროვნულ უმცირესობებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც საქართველოში უნდათ უმაღლესი განათლების მიღება.
- იმისათვის, რომ არაქართულეონოვანმა და უცხოელმა სტუდენტებმა მიიღონ მათთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, სასურველია, უნივერსიტეტს გააჩნდეს ადამიანური რესურსი საიმისოდ, რომ შესაძლებელი გახდეს სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ რომელიმე საერთაშორისო ენაზე.
- სასურველია, დაიბეჭდოს საინფორმაციო ბროშურები აღნიშნულ პროგრამაზე და უნივერსიტეტმა შესთავაზოს სტუდენტებს დამატებითი კონსულტაციები ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებით;
- სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭება უნდა მოხდეს წინასწარი ანალიზის საფუძველზე და უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სირთულეს.
- ცალკეული სილაბუსის მიზანი და შედეგი დეტალურად უნდა იქნას ჩამოყალიბებული და ლოგიკურად ებმოდეს პროგრამის შემადგენელ ნაწილებს.
- იმისათვის, რომ სტუდენტმა არა მარტო ქართული ენა შეისწავლოს, არამედ ზოგადი ინფორმაცია ჰქონდეს ენის წარმოშობისა და ქვეყნის ისტორიის შესახებ, სასურველია, პროგრამაში ჩართული იყოს ქვეყანათმცოდნეობის მცირე კურსი, რომლის მიზანი იქნება, როგორს ენის და ქვეყნის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, ასევე ქართული ენის უკეთ დაუფლება.
- სანამ სტუდენტები დაიწყებენ ქართული ენის შესწავლას, სასურველია, მოხდეს მათი ენის ცოდნის დონის დადგენა, რათა წინასწარ იქნეს დადგენილი სტუდენტთა აკადემიური საჭიროებები და სასწავლო კურსებიც მათი საჭიროებების მიხედვით იქნეს არჩეული სასწავლო წლის დასაწყისში.
- სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, სასურველია, მოხდეს სტუდენტის მიერ ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი ტესტირება, რომელიც აჩვენებს, შეუძლია თუ არა სტუდენტს სწავლა დაიწყოს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში.

- იმისათვის, რომ ნათლად იქნას განსაზღვრული, ენის შესწავლის რომელ დონეს უნდა ფლობდნენ სტუდენტების, სასურველია, საორიენტაციო დოკუმენტებად მიჩნეული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის, როგორც მეორე ენის ნაწილი და ევროსაბჭოს რეკომენდაციები ენის ფლობასთან დაკავშირებით.
- სასურველია, არაქართულენოვან სტუდენტებისათვის მოქმედებდეს ტუტორთა ინსტიტუტი, რომლებიც იქნებიან დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომელთაც საკმარისი გამოცდილება ექნებათ საიმისოდ, რომ არაქართულეოვან სტუდენტებს დაეხმარონ უნივერსიტეტში სწავლისას ორიენტაციაში.
- სასურველია, თვისობრივად მოხდეს სასწავლო პროგრამის ანალიზი ენის შესწავლის სტანდარტებთან მიმართებაში, რათა კრედიტები გონივრულად და შედეგზე ორინტირებულად იქნეს გადანაწილებული სხვადასხვა სასწავლო პროგრამას შორის.
- სასურველია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ასევე საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს დარგისთვის აუცილებელი და სპეციფიკური მოწყობილობებითა და მასალებით, რომლებიც გამოიყენება ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია არსებითია და გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის - შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის - ქართული ენა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის – აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამას - ქართული ენა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 01:32 საათზე

ნინო ხოფერია	**ნანა დალაქიშილი**
სხდომის თავმჯდომარე	სხდომის მდივანი